სამოქალაქო განათლების გზამკვლევის მიზანია შეგძინოთ ცოდნა რათა უკეთ გაიგოთ დემოკრატია და მისი განვითარება საქართველოში, მოქალაქეების როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში. ზოგისთვის გზამკვლევი შესაძლოა იყოს შესავალი და ცოდნა სრულიად ახალი იდეების მიმართულებით, ზოგისთვის კი იყოს ნაცნობი თემების მიმოხილვა. იმის მიუხედავად, თუ დემოკრატიული მოქალაქეობის შემეცნების რომელ ეტაპზე იმყოფებით, ეს მოგზაურობა სავარაუდოდ მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაგრძელდება, რადგან დემოკრატიის თანმდევი პროცესია როგორც უდიდესი თავისუფლების შესაძლებლობა, ასევე, დიდი პასუხიმგებლობებიც. თქვენ მოგიწევთ მთელი გონებითა და გულით ჩაერთოთ ამ პროცესში და გააცნობიეროთ, თუ როგორი მნიშვნელოვანია თქვენი როლი ქვეყანაში დემოკრატიის შენარჩუნებისა და მისი სათანადო განვითარებისთვის.

05 › შესავალი

08 › **ნაწილი I** › ინტერვიუ. სასკოლო განათლება და ჟინსტიტუცია

18 › **ნაწილი II** › პრივატიზების უფლებები

24 › **ნაწილი III** › სოციალური სხვაობები და ეთნიკური ვინაობა

34 › **ნაწილი IV** › პატიმრები და ტატუირებული ინდივიდუალობა

40 › **ნაწილი V** › ქუჩური ოპტიმიზმი და ეილი უზენაესობის

46 › **ნაწილი VI** › ევროპის ქალი დემოკრატიულ სოციალურ

55 › დემოკრატიის პრინციპები

58 › სიტყვა ავტორი და ბიბლიები

შესავალი

ნამდვილად გვჭირდება თუ არა მთავრობა? რა არის კარგი მმართველობის ძირითადი ელემენტები? რა არის ადამიანის უფლებები? რატომ არის მოქალაქის ინფორმირებული და გონივრული ქმედებები აუცილებელი დემოკრატიისთვის? დემოკრატიული მოქალაქეობა გულისხმობს თუ არა მოქალაქის პასუხისმგებლობებს? რა ჩვევები და კომპეტენციებია საჭირო დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეებისთვის? რატომ არის სამოქალაქო განათლება მნიშვნელოვანი?

საქართველოში, სადაც სამოქალაქო განათლებასა და დემოკრატიულ საზოგადოებას ხანგრძლივი ტრადიციები არ აქვს, მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებასა და საზოგადოების ცხოვრებაში მათ აქტიურ მონაწილეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა მემკვიდრეობა საზოგადოებაში ჯერ კიდევ ღრმად არის ფესვგადგმული. ის გულისხმობს ისეთ ქვეყანას, სადაც სახელმწიფო და საზოგადოება ორი განცალკევებული, ურთიერთდაპირისპირებული ერთეულია და იერარქიულად სახელმწიფო საზოგადოებაზე ზევით დგას. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებას ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მისი წევრების საქმიანობასთან აიგივებენ. იმის გამო, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან ბრძოლა უწევს, მოქალაქეებს ხშირად არ აქვთ შესაძლებლობა, დრო და მოტივაცია, რომ თავისი ენერგია საზოგადოების პრობლემების გადაჭრისკენ მიმართონ.

საქართველოს მომავალი თქვენს ხელშია. ქვეყნის რიგითი მოქალაქეები მომავალშიც მოახდენთ გავლენას იმაზე, თუ როგორ განვითარდება დემოკრატია საქართველოში. ჯანსაღი დემოკრატიული პროცესი აქტიური და მაღალი ცნობიერების მქონე მოქალაქეების გარეშე ვერ წარიმართება. შესაძლოა, სამოქალაქო განათლების გზამკვლევმა თქვენს ყველა კითხვას არ უპასუხოს, თუმცა ის მოგცემთ საფუძველს, უკეთ გააცნობიეროთ თქვენი, როგორც საქართველოს მოქალაქის პოტენციალი, თქვენი უფლებები და მოვალეობები, ისევე როგორც ის, თუ რა ძალაუფლება გაგაჩნიათ თქვენი ქვეყნის მომავალზე ზემოქმედებისა და შეცვლისათვის.

საქართველოში დემოკრატიის განვითარების პარალელურად, საქართველოს მოქალაქეებს დასჭირდებათ ახალი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების შეძენა. ისეთი დემოკრატიის პირობებში, სადაც მოქალაქეებს არ აქვთ ეს მნიშვნელოვანი უნარები, გადაწყვეტილებების მიღება შესაძლოა მოხდეს ერთგვარ ვაკუუმში, ასახავდეს უმრავლესობის მოსაზრებას, თუმცა თავად გადაწყვეტილება კი არც ისე კარგი და უფრო მეტიც, შესაძლოა საზოგადოებისთვის საზიანოც კი იყოს.

ზოგადად მკვლევარები თანხმდებიან, რომ ჯანსაღი დემოკრატიის განვითარების პროცესში მოქალაქეები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ. დემოკრატიულ საზოგადოებებში მოქალაქეებს მოუწოდებენ მიიღონ გადაწყვეტილებები ან იმოქმედონ იმისათვის, რათა წინ წამოწიონ და დაიცვან პიროვნებებისა და საზოგადოების ინტერესები.

დემოკრატიული ქვეყნების უმეტესობა რესპუბლიკაა. ეს არის არაპირდაპირი დემოკრატია, სადაც მოქალაქეები დემოკრატიულად ირჩევენ წარმომადგენელს, რომელმაც მათი სახელით უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები და მართოს ქვეყანა. ამ სისტემის პირობებში მოქალაქეები მართალია ყოველდღიურად არ არიან პირდაპირ ჩართული ქვეყნის მართვაში, თუმცა ხალხი მაინც წარმოადგენს ხელისუფლების ძალაუფლების წყაროს. შესაბამისად, მოქალაქეები არსებით როლს თამაშობენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში, რისთვისაც ისინი უნდა იცნობდნენ დემოკრატიულ პრინციპებს, გააჩნდეთ კონკრეტული უნარ-ჩვევები და განწყობა-დამოკიდებულებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დემოკრატიის განვითარებას.

სამოქალაქო განათლების გზამკვლევის მიზანია შეგძინოთ
ცოდნა რათა უკეთ გაიგოთ:

- დემოკრატია;
- დემოკრატიის განვითარება საქართველოში;
- მოქალაქეების როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ზოგისთვის გზამკვლევი შესაძლოა იყოს შესავალი და ცოდნა სრულიად ახალი იდეების მიმართულებით, ზოგისთვის კი ეს იქნება მიმოხილვა იმ თემებისა, რომლებიც მათთვის უკვე ნაცნობია. იმის მიუხედავად, თუ დემოკრატიული მოქალაქეობის შემეცნების რომელ ეტაპზე იმყოფებით, ეს მოგზაურობა სავარაუდოდ მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაგრძელდება, რადგან დემოკრატიის თანმდევი პროცესია როგორც უდიდესი თავისუფლების შესაძლებლობა, ასევე, დიდი პასუხიმგებლობებიც. თქვენ მოგიწევთ მთელი გონებითა და გულით ჩაერთოთ ამ პროცესში და გააცნობიეროთ, თუ როგორი მნიშვნელოვანია თქვენი როლი ქვეყანაში დემოკრატიის შენარჩუნებისა და მისი სათანადო განვითარებისთვის.

ნაწილი I

ინდივიდი, საზოგადოება და კონსტიტუცია

ნამდვილად გვჭირდება თუ არა მთავრობა? რა არის მთავრობის ძირითადი მიზანი? რა როლი აქვს კონსტიტუციას? როგორ მოვიქცეთ როდესაც ადამიანის უფლებები ირღვევა? როგორია სახელმწიფოს მმართველობის შტოები და პასუხისმგებლობები? რა არის კარგი მმართველობის ძირითადი ელემენტები?

ნამდვილად გვჭირდება თუ არა მთავრობა?

სად იწყება და მთავრდება ადამიანის უფლება საზოგადოებაში, სადაც არ არის მთავრობა და კანონები? რა ზღუდავს ადამიანის თავისუფალ ქმედებას? მაგალითად, ისეთ სახელმწიფოში, სადაც არ არის მთავრობა/ფორმალური წესები, როგორ დაიცავს ადამიანი საკუთარ ინტერესებს? რა მექანიზმებით დაიცავს ადამიანი საკუთარ სიცოცხლეს? რა მოხდება მაშინ, თუ რომელიმე ადამიანისთვის პირადი კეთილდღეობა უფრო ღირებული აღმოჩნდება, ვიდრე სხვა ადამიანის სიცოცხლის უფლება? უკონტროლო (ბუნებრივად თავისუფალ) გარემოში ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემას შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს.

ბუნებით მდგომარეობაშიც კი, სადაც არ არის მთავრობა ან კანონები, ადამიანს აქვს ფუნდამენტური უფლებები მხოლოდ იმიტომ, რომ ის დაიბადა (ბუნებრივი უფლებები). არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ბუნებითი მდგომარეობის პირობებში ეს უფლებები საერთოდ დაიკარგოს. ადამიანური ბუნების მიდრეკილებებიდან გამომდინარე, ყოველთვის გამოჩნდება ისეთი ადამიანი, რომელიც ადვილად გადააბიჯებს საკუთარი თავისუფლების საზღვრებს და შეეცდება შეზღუდოს სხვა ადამიანთა ბუნებრივი უფლებები. ბუნებითი სამართლის სახელმწიფოში არ არის მთავრობა და კანონის უზენაესობა, რის გამოც ადამიანებს საკუთარი ბუნებრივი უფლებების დაცვა თავადვე უწევთ. ძალიან ბევრი სცენარის წარმოდგენა შეიძლება, თუ როგორ მოხდება ასეთ პირობებში ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და უნივერსალური უფლებების შელახვა და განადგურება. ბუნებითი სამართლის (ბუნებრივი უფლებების დაცვის) პირობებში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, ლოგიკურია რომ საზოგადოებამ გააცნობიერა „კანონიერი ძალაუფლების მქონე ავტორიტეტის“ აუცილებლობა. ეს უკანასკნელი შეძლებს იმ ძირითადი პრობლემების გადაჭრას, რომლებიც თავს იჩენენ ბუნებითი სამართლის არსებობის პირობებში.

ხელისუფლება არის ის მექანიზმი, რომელსაც აქვს შესაძლებლობა შექმნას ისეთი კანონები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან ადამიანთა მშვიდობიან თანაცხოვრებას, უზრუნველყოფენ უსაფრთხო და ღირსეულ საცხოვრებელ პირობებს საზოგადოებასა და სახელმწიფოში. ბუნებითი მდგომარეობის მქონე სახელმწიფოში, სადაც არ არის მთავრობა ან კანონები, როდესაც ადამიანის სიცოცხლე, თავისუფლება, საკუთრება ან მისწრაფებები რისკის ქვეშ დგება, ადამიანი იწყებს ფიქრს მათი დაცვის გზებზე. რა შეუძლია ადამიანს, როგორც ინდივიდს, გააკეთოს ამ შემთხვევაში? შეკითხვა ეხმარება ადამიანებს უკეთესად გაერკვნენ ხელისუფლების არსებობის მიზეზებში. იმის გაცნობიერების შედეგად, რომ მთლიანობაში საზოგადოებას არ შესწევს უნარი დაიცვას თავისი წევრების ბუნებრივი უფლებები, ჩნდება სხვა ტიპის ინსტიტუციის საჭიროება. ეს უნდა იყოს ინსტიტუცია, რომელსაც ექნება ძალაუფლება და ავტორიტეტი დაადგინოს გარკვეული წესები საზოგადოებისთვის. თავის მხრივ, ასეთი წესები უზრუნველყოფს მდგრადობას, საზოგადოების დინამიური და მშვიდობიანი განვითარების პარალელურად. აუცილებელი ხდება ისეთი კანონების შექმნა, რომლებიც დაიცავენ როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ინტერესებს. გარდა ამისა, ასეთ ინსტიტუციას უნდა ჰქონდეს კანონიერი ძალაუფლება და ავტორიტეტი ერთის მხრივ იმისთვის, რომ შექმნას გარკვეული წესები, ხოლო მეორეს მხრივ – უზრუნველყოს დადგენილი წესებისა და კანონების დაცვა საზოგადოების თითოეული წევრის მიერ.

ამგვარად, მივდივართ ისეთი კანონიერი ძალაუფლების მქონე ავტორიტეტის არსებობის აუცილებლობამდე, რომელიც შეძლებს სრულიად განსხვავებული, ცალკეული ინდივიდების ან ჯგუფების ხშირად რადიკალურად დაპირისპირებული ინტერესების გარდაქმნას საერთო საზოგადოებრივ სახელმწიფო მიზნად, რომელიც ჰარმონიულად მიდის ერთი მიმართულებით. მოქალაქეებმა უნდა დათმონ რიგი უფლებები, რითაც დაიცავენ საზოგადოებრივ ინტერესებს და უზრუნველყოფენ უსაფრთხო და მშვიდობიან თანაცხოვრებას. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ის, რომ ადამიანებს არ აქვთ თავისუფლება იმისთვის, რომ მოპარონ რაიმე თავის მეზობელს. ეს თავისუფლება სახელმწიფოს მიერ არის აკრძალული, რადგან ის არაკანონიერია. ამ საკითხთან დაკავშირებით მე-17-ე საუკუნის ფილოსოფოსმა, ჯონ ლოკმა სოციალური კონტრაქტის თეორიის მისეული ვერსია ჩამოაყალიბა.

რა არის მთავრობის ძირითადი მიზანი?

ლოკის თანახმად, სოციალური კონტრაქტი ინდივიდებსა და სახელმწიფოს შორის არის საუკეთესო გზა იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომელიც ე.წ. ბუნებითი მდგომარეობისას იჩენს თავს. ლოკის არგუმენტი მდგომარეობდა შემდეგში: იმისათვის, რომ დაიცვა ადამიანის უფლებები და საკუთრება, აუცილებელია გარკვეულ უფლებებსა და თავისუფლებებზე უარის თქმა რომელიმე მმართველი ავტორიტეტის სასარგებლოდ. ანუ იმისათვის რომ ბუნებით მდგომარეობაში თავიდან იქნას აცილებული პოტენციური ქაოსი, ადამიანები თანხმდებიან მმართველი ავტორიტეტის არსებობაზე. ასეთ ხელისუფლებას მინიჭებული აქვს ავტორიტეტი და ძალაუფლება დაიცვას ადამიანის ბუნებრივი უფლებები. ეს არის სოციალური კონტრაქტის არსი. მოქალაქეები თანხმდებიან

იცხოვრონ ხელისუფლების მმართველობის პირობებში, ხოლო ხელისუფლება იცავს მოქალაქეთა ბუნებრივ უფლებებს. ლოკის მოსაზრებით, ისეთ მთავრობას, რომელიც ვერ შეძლებს ადამიანთა ბუნებრივი უფლებების დაცვას (დაარღვევს კონტრაქტს), შესაძლოა უარი უთხრან მმართველობაზე ან შეცვალონ, რადგანაც მას მმართველობის უფლება სწორედ ხალხის თანხმობის საფუძველზე მიენიჭა.

ლოკი მოვლენების განვითარებას შემდეგი თანმიმდევრობით ხედავს: ბუნებითი მდგომარეობიდან გამოსასვლელად საზოგადოება შეთანხმდა შეექმნა ავტორიტეტი, ანუ მმართველობა, შედეგად ამ უკანასკნელის ამოცანები გახდა: საზოგადოების მართვა და მისი უსაფრთხოების დაცვა. შეთანხმება საჭიროებდა მმართველთა ლეგიტიმაციას ისე, რომ მათ ჰქონოდათ უფლება ემართათ საზოგადოება, დაედგინათ სავალდებულო წესები საზოგადოების თითოეული წევრისთვის, უზრუნველეყოთ წესებისა და კანონების დაცვა და აღსრულება.

ამ პირობებზე დაყრდნობით ადამიანები მოხალისეობრივად თანხმდებიან დათმონ და უარი თქვან გარკვეულ ბუნებრივ უფლებებზე, როგორიცაა: თავისუფლება, უფლებები და საკუთრება, რამაც თავის მხრივ მმართველ ხელისუფლებას მისცა საზოგადოების მართვის შესაძლებლობა. მოქალაქეების მიერ საკუთარ უფლებებსა და საკუთრებაზე უარის თქმის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია ის, რასაც მოქალაქეთა უმეტესობა ყოველდღიურად აკეთებს - ესაა გადასახადების გადახდა. მეორე მაგალითად შესაძლოა მოვიყვანოთ ის, რომ: რასისტი, ან მოძალადე ადამიანი არ არის თავისუფალი და არ აქვს უფლება შეურაცხყოფა მიაყენოს სხვა ადამიანს მისი კანის ფერის, რელიგიის, ეთნიკური კუთვნილების ან სხვა მიზეზების გამო. ადამიანის თავისუფლება იმოქმედოს ძალადობრივად ან მოახდინოს ვინმეს დისკრიმინაცია არის შეზღუდული.

მთავრობები მართავენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მართვის ძალაუფლებას თავად საზოგადოება აძლევს საკუთარი უფლებების, საკუთრებისა და თავისუფლებების დათმობის ხარჯზე.

რა როლი აქვს კონსტიტუციას?

კონსტიტუცია ერთდროულად საკანონმდებლო და პოლიტიკური ხასიათის მთავარი დოკუმენტია. მას აქვს ძალაუფლება დაარეგულიროს ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური საკითხები, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავენ საზოგადოების ცხოვრების წესს. შესაბამისად, ძალაუფლება და პასუხისმგებლობები სახელმწიფოს ყველა დონეზე, იქნება ეს საპარლამენტო, საპრეზიდენტო თუ სასამართლო, რეგულირდება კონსტიტუციის მიერ. საკონსტიტუციო რეგულაციები და შეთანხმებები განსაზღვრავენ და აბალანსებენ საზოგადოების ღირებულებებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს თითოეული პიროვნებისა და მოქალაქის უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრება მისივე უფლებებისა და თავისუფლებების დაცვით.

კონსტიტუცია არის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს თავისუფლებას, თანასწორობასა და წესრიგს შორის ჰარმონიასა და ბალანს ისე, რომ დაცული იყოს ადამიანთა უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები. **როდესაც მთავრობა შეზღუდულია საკუთარ თავისუფლებებში, მაშინ მას შეზღუდული აქვს სხვა ადამიანთა შევიწროვების შესაძლებლობაც.** ყველა ჩამოთვლილი მიზეზი აქცევს კონსტიტუციას ქვეყნის უზენაეს კანონად, რომელიც განსაზღვრავს ადამიანებისა და დემოკრატიული სახელმწიფოების ძირითად ურთიერთმიმართებებს.

ქართველი სახელმწიფო მოხელეები და საჯარო პირები პასუხისმგებლები არიან დაიცვან კონსტიტუცია. კონსტიტუციის დარღვევა შესაძლოა გახდეს პრეზიდენტისთვის, მთავრობის წევრებისთვის, უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელისთვის, მთავარი პროკურორისთვის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის იმპიჩმენტის ერთ-ერთი საფუძველი, თუ იმპიჩმენტის მოთხოვნით შესაბამის ზემდგომ უწყებებს მიმართავენ.

საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია პასუხობს მთავარ კითხვას, თუ ვინ არის მმართველი ავტორიტეტი ქვეყანაში. კონსტიტუციის თანახმად ხალხი არის ხელისუფლების წყარო და ავტორიტეტსაც სწორედ ხალხი წარმოადგენს.

„საქართველოში ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.“

(საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5.1)

როგორ მოვიქცეთ როდესაც ადამიანის უფლებები ირღვევა?

ადამიანის უფლებების დარღვევისას არსებობს არაერთი საშუალება იმისათვის, რომ ნებისმიერმა მოქალაქემ საკუთარი თავის დაცვის მიზნით მიმართოს: სასამართლოს, ომბუდსმენის ოფისს (საქართველოს სახალხო დამცველი), მედიას ან ადამიანის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციას. ადამიანთა უფლებების დაცვის კუთხით ომბუდსმენის ოფისი მოქალაქეებს მრავალმხრივ მომსახურებას სთავაზობს. სახალხო დამცველი[1] (ომბუდსმენი) არის კონსტიტუციური ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველობს ადამიანის უფლებების დაცვას და თავისუფლებებს საქართველოს ტერიტორიაზე, ავლენს დარღვევების ფაქტებს და ფასილიტაციას უწევს დარღვეული უფლებების აღდგენას.

იმ შემთხვევაში თუ მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები დაირღვა ან არის დარღვევის პროცესში, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციით ან/და კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და კონვენციებით, მოქალაქეს შეუძლია მიმართოს სახალხო დამცველს მდგომარეობის გამოსწორების მიზნით. უფლებათა დარღვევა შესაძლოა მოხდეს მთავრობის თანამდებობის პირების, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საწარმოების, თანამდებობის პირების,

[1] www.ombudsman.ge

იურიდიული დაწესებულებების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სახელმწიფო უწყებებების მხრიდან.

თუმცა, მოქალაქეებმა ასევე უნდა იცოდნენ, რომ სახალხო დამცველი აღარ განიხილავს განაცხადსა თუ სარჩელს, რომელზეც მას უკვე აქვს მიღებული გადაწყვეტილება გარდა იმ შემთხვევისა, თუ არ არის წარმოდგენილი სხვადასხვა ფაქტები და გარემოებები სარჩელთან დაკავშირებით.

თუ მოქალაქეთა უფლებები დაირღვა, სახალხო დამცველს შეუძლია:

- გააგზავნოს რეკომენდაცია სახელმწიფო ორგანოებში, თანამდებობისა და იურიდიულ პირებთან, რომელთა მხრიდანაც მოხდა მოქალაქის უფლებების დარღვევა;
- თუ სახალხო დამცველი ჩათვლის, რომ შესაძლოა დანაშაული მოხდა, მას შეუძლია შეიტანოს მასალა, რომელსაც თავად ფლობს საგამოძიებო განყოფილებაში;
- შეიტანოს წინადადებები შესაბამის სააგენტოებში დისციპლინარულ ან ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებით იმ თანამშრომლების მიმართ, რომელთა საქმიანობამაც დაარღვია მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები;
- აცნობოს მასმედიას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევების შესახებ;
- გამოაქვეყნოს ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ ინფორმაცია სპეციალურ და ყოველწლიურ ანგარიშებში.

სახალხო დამცველის მომსახურება მოქალაქეებისთვის უფასოა. მოქალაქეებს ასევე შეუძლიათ მიმართონ ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებს. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციაა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)[2]. საიას იურისტები ბენეფიციარებს უტარებენ იურიდიულ კონსულტაციებს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, ამზადებენ სარჩელებს და იცავენ განმცხადებლის ინტერესებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (ECHR).

2004 წლიდან საია ახორციელებს სტრატეგიულ სამართალწარმოებას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში პატიმრების წამების, არაჰუმანური და დადამცირებელი მოპყრობის, უკანონო დაპატიმრების, სამართლიანი სასამართლო პროცესის, დისკრიმინაციისა და საკუთრების უფლებების დარღვევის საკითხებზე.

როგორია სახელმწიფოს მმართველობის შტოები და პასუხისმგებლობები?

საზოგადოების თანამედროვე მმართველი, ხელისუფლება იღებს კანონებს, რომლებმაც უსაფრთხოებასთან ერთად უნდა დაიცვან საზოგადოების ღირსება და კეთილდღეობა. ხელისუფლებამ უნდა დაიცვას **წესრიგი** ისეთ ორ ღირებულებას შორის ჰარმონიის შენარჩუნებით, როგორიცაა **თავისუფლება** და **თანასწორობა**.

[2] www.gyla.ge

ხელისუფლება ფოკუსირებული უნდა იყოს ისეთი კანონმდებლობის შექმნაზე, რომელიც დაიცავს გონივრულ ბალანსს თავისუფლებას, თანასწორობასა და წესრიგს შორის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ღირებულებებს შორის სრული წონასწორობის დაცვა ერთ-ერთი მთავარი დილემაა თანამედროვე სახელმწიფოების, ხელისუფლების, საზოგადოებისა და მოქალაქეებისთვის. ასეთი ურთიერთობა ბევრად დამოკიდებულია კანონმდებლობის არსებობასა და განხორციელებაზე, თუმცა მთავარი პასუხისმგებლობა ამ ბალანსის მიღწევაში მაინც მოქალაქეებს ეკისრებათ. ხელისუფლების მიერ კარგი კანონების მიღებაცა და მათი სათანადო იმპლემენტაციაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პროცესში მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობასა და ჩართულობაზე. ზოგადად, კანონის დაცვა სავალდებულოა ყველასთვის იმის მიუხედავად, თუ რა დამოკიდებულება აქვს ამა თუ იმ პირს კონკრეტული კანონის მიმართ. წესების, ანუ კანონების ერთობლიობა ქმნის მმართველ კანონს.

როდესაც მე-18-ე საუკუნეში ამერიკელები საკუთარ კონსტიტუციას ქმნიდნენ, მათ გამოიყენეს საკმაოდ ეფექტიანი ინსტრუმენტი იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. ეს ინსტრუმენტი იყო ძალთა გადანაწილება, რაც გულისხმობს ძალაუფლების, ავტორიტეტისა და პასუხისმგებლობების კონსტიტუციურ გადანაწილებას სახელმწიფოს სამ შტოს შორის: **საკანონმდებლო** (ამერიკაში ეს არის კონგრესი, ხოლო საქართველოში – პარლამენტი), **აღმასრულებელი** (სახელმწიფოს მეთაური, ძირითადად პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი) და **სასამართლო** (სასამართლო სისტემა). ამ დაყოფისთვის გადამწყვეტი იყო კანონში „შემოწმებისა და დაბალანსების“ სისტემის ჩადება, რაც გულისხმობს, რომ თითოეული შტო აბალანსებს სხვა შტოების ძალაუფლებას და აკონტროლებს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს. „შემოწმებისა და დაბალანსების“ ძლიერი სისტემა ერთ-ერთი გზაა, რომლის მეშვეობითაც ამერიკელებმა თავი დაიცვეს ქვეყანაში ტირანიისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისგან. მაგალითად კანონს, რომელსაც კონგრესი მიიღებს პრეზიდენტს შეუძლია ვეტო დაადოს. მაშინაც კი, თუ პრეზიდენტი და კონგრესი მხარს დაუჭერს ამა თუ იმ კანონს, სასამართლოს მაინც შეუძლია გადაწყვიტოს, რომ ეს კანონი არის არაკონსტიტუციური. მოქალაქეები ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ „შემოწმებისა და დაბალანსების“ სისტემის შესაბამისი ფუნქციონირების უზრუნველყოფისთვის. სახელმწიფო მოწყობის იმავე პრინციპს აღიარებს საქართველოს არსებული კონსტიტუცია. საქართველოს სახელმწიფო მმართველობის გადანაწილების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილ გრაფაში.

საქართველოს სახელმწიფოს მმართველობის კონსტიტუციით განსაზღვრული შტოები

* ასახულია კონსტიტუციაში შეტანილი უკანასკნელი ცვლილებები, რომლებიც ძალაში 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევიდა.
* ექსპერტები ეყრდნობიან კონსტიტუციას და საჭიროებისამებრ აკეთებენ საკუთარ ინტერპრეტირებას.



პარლამენტი (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლები: 48, 63, 80, 81)

- ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
- აქვს საკანონმდებლო ძალაუფლება;
- განსაზღვრავს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს;
- აქვს მთავრობის იმპიჩმენტის უფლებამოსილება;
- არჩეულია საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნებით და პასუხისმგებელია ხალხის წინაშე.

პრემიერ–მინისტრი (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 79)

- მთავრობის მეთაური;
- პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზაციას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს მთავრობის წევრების საქმიანობის კოორდინაციას და კონტროლს;
- პრემიერ-მინისტრი თანამდებობაზე ნიშნავს მთავრობის წევრებს (მინისტრებს) პრეზიდენტის თანხმობით, ასევე უფლებამოსილია თანამდებობიდან გაანთავისუფლოს მთავრობის წევრები;
- პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას საპარლამენტო უმრავლესობა წარუდგენს პრეზიდენტს. თავის მხრივ პრეზიდენტი ახდენს შერჩეული კანდიდატის ნომინირებას პარლამენტში კენჭისყრის მიზნით. პარლამენტი ამტკიცებს ან უარს აცხადებს კანდიდატის დანიშვნაზე. პრემიერ-მინისტრი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

პრეზიდენტი (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 69)

- პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი;
- პრეზიდენტი არის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი;
- პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში;
- არჩეულია საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნებით და პასუხისმგებელია ხალხის წინაშე.



სასამართლო ხელისუფლება (სასამართლოები)
(საქართველოს კონსტიტუცია, მუხლები: 82, 84)

- სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები;
- სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისთვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;
- მოსამართლე დამოუკიდებელია თავის ქმედებაში და მოქმედებს მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონით გათვალისწინებული ნორმების ფარგლებში;

- ნებისმიერი სახის ზეწოლა მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში მის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის მიზნით არის აკრძალული და ისჯება კანონით.

საკონსტიტუციო სასამართლო (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 89)

- საკონსტიტუციო დავების განმხილველი ორგანო;
- იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციის, კონსტიტუციური შეთანხმების, კანონების, მოქალაქეთა გაერთიანების შესახებ;
- იხილავს რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას;
- იხილავს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ;
- იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს;
- პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით;
- საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

უზენაესი სასამართლო (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 90)

- უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი საკასაციო სასამართლო საქართველოში, რომლის ყველა გადაწყვეტილება საბოლოოა.

მაშინ, როდესაც სახელმწიფოს თითოეული შტო ღასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას მინიჭებული ძალაუფლების ფარგლებში, ურთიერთკონტროლის მექანიზმი აქტიურად მუშაობს, რომელიც თავის მხრივ სახელმწიფოში ძალაუფლების გადანაწილების პრინციპს ემყარება. ამ პრინციპის თანახმად სახელმწიფოს არც ერთ შტოს არ აქვს უფლება და შესაძლებლობა შეასრულოს სხვა შტოსთვის მინიჭებული ფუნქციები და უფლება-მოვალეობები.

„სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5.4)

რა არის კარგი მმართველობის ძირითადი ელემენტები?

კარგი მმართველობის მნიშვნელოვანი ელემენტები აერთიანებს შემდეგ პრინციპებს: **მონაწილეობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და კონსენსუსი.**

მონაწილეობა გულისხმობს, რომ საზოგადოების თითოეულ წევრს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რაც თავის მხრივ მოიცავს: საარჩევნო წარმომადგენლების არჩევას (წარმომადგენლობითი დემოკრატიის შემთხვევაში), მონაწილეობას რეფერენდუმში, საჯარო დისკუსიებში, ისევე როგორც თავად საკანონმდებლო პროცესში (მართალია მოქალაქეები თავად არ ქმნიან კანონებს, მაგრამ დემოკრატიული საზოგადოების პირობებში მიღებულია, რომ მოქალაქეები უკავშირდებიან მათ მიერ არჩეულ წარმომადგენლებს და გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელსაც საბოლოო ჯამში ან მიიღებენ ან არა. ასეთი მონაწილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ის, რომ მოქალაქეები კარგად უნდა იყვნენ ინფორმირებული იმ კანონპროექტების შესახებ, რომელსაც პარლამენტი განიხილავს და ამასთან უნდა ჰქონდეთ საკმარისი დრო, რომ გამოხატონ საკუთარი მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით). მონაწილეობის ასეთი ფორმების მოქმედების პირობებში, თითოეულ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ისეთი განცდა, რომ ეკუთვნის ამ სახელმწიფოს.

კანონის უზენაესობა ამკვიდრებს კანონმორჩილებას სახელმწიფოში, სადაც მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობისა და სახელმწიფო მმართველობის შტოების ფუნქციონირების საფუძველი არის კანონმდებლობა. არც ერთი ადამიანი არ დგას კანონზე მაღლა. როდესაც უმრავლესობის სურვილით ხელისუფლებაში მოდიან თანამდებობის პირები დემოკრატიამ უნდა უზრუნველყოს ის, რომ მთავრობამ და სასამართლომ საკმარისი გარანტიების საფუძველზე დაიცვან თითოეული ადამიანის უფლებები, განსაკუთრებით უმცირესობათა უფლებები, რომელთა დაცვას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა.

გამჭვირვალობა გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და გაწეული დანახარჯების შესახებ ინფორმაცია მოქალაქეებისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი და გასაგები. გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ისევე როგორც მისი განხორციელების მეთოდები საზოგადოებისთვის საჯარო უნდა იყოს.

ანგარიშვალდებულება არის სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ანგარიში ჩააბაროს მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს სხვადასხვა შესრულებული სამუშაოს, მომავალი გეგმებისა და ამოცანების შესახებ. ეს ასევე გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოში მოქმედებს კანონიერი სისტემები და დაწესებულებები, რომლებიც რეაგირებას ახდენენ არაკანონიერ ქმედებებზე.

კონსენსუსზე ყურადღების გამახვილება მოითხოვს გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმართულია საზოგადოებაში არსებული განსხვავებული მოსაზრებების მოსმენასა და გათვალისწინებაზე, ამასთან მოითხოვს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბალანსისა და მთლიანობის შენარჩუნების აუცილებლობას. ■



M

A

ნაწილი II

ადამიანის უფლებები



რა არის ადამიანის უფლებები? რა ვალდებულებები აკისრია სახელმწიფოს? რო–გორ უნდა იყოს დაცული სახელმწიფოს მიერ ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესო–ბათა უფლებები?

რა არის ადამიანის უფლებები?

პიროვნებას დაბადებიდანვე მინიჭებული აქვს გარკვეული უფლებები. ადამია-ნის უფლებები ერთნაირია დედამიწის ნებისმიერ კუთხეში მცხოვრებისთვის. ყო-ველი პიროვნება დაცულია მიუხედავად ისეთი განსხვავებებისა, როგორიცაა რა-სა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური და სხვა სახის მოსაზრებები, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობა, საკუთრება, ტიტული და სხვ. ადამია-ნის უფლებები უნივერსალურია და უკლებლივ ყველა პიროვნებაზე ვრცელდება.

გაერთიანებული ერების საყოველთაო დეკლარაცია მოიცავს მსოფლიოში სა-ყოველთაოდ შეთანხმებულ ადამიანის უფლებებს, როგორებიცაა: განათლების უფ-ლება; მუშაობის უფლება; დასვენებისა და გართობის უფლება; სახალხო შეკრების უფლება; გამოხატვის და აზროვნების თავისუფლება; დაუშვებელია თვითნებურად დაკავება, დაპატიმრება ან ქვეყნიდან გაძევება და ა.შ. გაეროს ადამიანის უფლებათა სრული სიის ნახვა შესაძლებელია ლინკზე: http://www.un.org/en/documents/udhr/

ადამიანის უფლებები წარმოიშვა და განვითარდა სხვადასხვა რეგიონებიდან, მრავალფეროვანი კულტურებიდან და ფილოსოფიური შეხედულებებიდან, ასევე მრავალფეროვანი ეთიკური და რელიგიური გარემოებებიდან. ისინი წარმოადგე-ნენ სახელმწიფოსგან, სხვა მოქალაქეებისგან და კანონებისგან პიროვნების თავ-დაცვისათვის მინიჭებულ საშუალებებს.

რა ვალდებულებები აკისრია სახელმწიფოს?

სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ჩვენი უფლებები: დაიცვას ჩვენი სიცოცხლე, ღირსება და პირადი ხელშეუხებლობა; უზრუნველყოს გადაადგილების თავისუფლე-ბა; ხელი შეუწყოს განათლებას თავისუფალ და თანასწორ პირობებში და დააფუძნოს ისეთი გარემო, სადაც ამ უფლებების განხორციელება დისკრიმინაციის გარეშე იქნე-ბა შესაძლებელი.

არცერთი ქვეყანა არ მიიჩნევა თავისუფლად და დემოკრატიულად მანამ, სანამ ქვეყნის იურისდიქციაში მყოფ პიროვნებებს (მოქალაქეებს, მოქალაქეობის არმქონე პიროვნებებს და უცხოელებს) არ ექნებათ ყველა უფლება და თავისუფლება მინიჭებული. ადამიანის უფლებები დაფუძნებულია შემდეგ ღირებულებებზე: **თანასწორობა, შემწყნარებლობა, დემოკრატია, ღირსება, თავისუფლება და სამართლიანობა.**

თანასწორობის ღირებულება გამოხატულია კანონის წინაშე თანასწორობაში, ასევე განსხვავებული კულტურული და რელიგიური უფლებების თანასწორობაში. თანასწორობა აძლევს საშუალებას ნებისმიერ ადამიანს რომ იყოს თანაბარ პირობებში სხვა ადამიანთან, მაგრამ ამ საშუალების გამოყენება დამოკიდებულია თვითონ პიროვნებაზე. თანასწორობის გამო დაცულია სახელმწიფოს მიერ ყველა პიროვნების მიმართ თანაბრად მოქცევა. დაუშვებელია ერთი პიროვნებისთვის უსაფუძვლო პრივილეგიის მინიჭება, როდესაც სხვისი უფლება ილახება.

შემწყნარებლობა ანუ ტოლერანტობა გულისხმობს ჩვენი მრავალფეროვნებით მდიდარი მსოფლიო კულტურების, ჩვენი გამოხატვის ფორმების პატივისცემას, მიღებასა და დაფასებას. ეს ნიშნავს ვიყოთ ჰუმანურები, რაც წახალისებულია ცოდნით, ღიაობით, კომუნიკაციით, აზროვნების თავისუფლებით, სინდისით და რწმენით. ტოლერანტობა არის განსხვავებულობასთან ჰარმონია. ეს არ არის მხოლოდ მორალური მოვალეობა, ეს ასევე პოლიტიკური და კანონის მოთხოვნაა. ტოლერანტობა არის ღირსება რაც შესაძლებელს ხდის მშვიდობას, ხელს უწყობს ომის კულტურის მშვიდობის კულტურით ჩანაცვლებას[3].

შემწყნარებლობა სხვათა მოსაზრებების, გამოხატვის სხვადასხვა ფორმებისა და პიროვნული ინდივიდუალიზმის განვითარების მიმართ პატივისცემას ნერგავს. ასევე, ტოლერანტობა გულისხმობს სხვების მოსაზრებების მოსმენის უნარს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი მსმენელისთვის მიუღებელია. შემწყნარებლობის გამოხატვა სხვათა რელიგიებისა და ეროვნულობის მიმართ წარმოადგენს ადამიანთა უფლებების დაცვის საფუძველს.

დემოკრატია, როგორც პოლიტიკური მმართველობა ნიშნავს ხალხის მმართველობას, როდესაც არა მხოლოდ უმრავლესობის უფლებები, არამედ უმცირესობის უფლებებიც ეფექტურად არის დაცული. ეს არ გულისხმობს უმცირესობის შეუზღუდავ ძალაუფლებას, არამედ გულისხმობს უმრავლესობის შეზღუდულ ძალაუფლებას გარკვეული ღირებულებებითა და ადამიანის უფლებებით, რამეთუ ღირებულებები გამყარებულია კანონით და თანაბრად ეხება უმრავლესობასა და უმცირესობას.

ღირსება, ეს არის უნარი შეინარჩუნო საკუთარი თავის პატივისცემა, რაც წარმოადგენს ყველა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა წყაროს. ღირსების გრძნობა ისე როგორც თითოეულს, ასევე ყველა ადამიანს აქვს ახალშობილია ის თუ დამნაშავე.

[3] http://www.un.org/en/events/toleranceday/pdf/tolerance.pdf

თავისუფლება არის შენი სურვილის მიხედვით მოქმედება იმ ზღვრამდე, ვიდრე ის ხელს შეუშლის სხვის თავისუფლებას.

სამართლიანობა განასახიერებს ფასეულობას, რომელიც დამყარებულია მიზანშეწონილებაზე, კანონზე, ეთიკასა და სხვა საშუალებებზე.

როგორ უნდა იყოს დაცული სახელმწიფოს მიერ ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები?

ქვეყანა არის პოლიტიკური გაერთიანება, რომლის საზოგადოებამ თვითგამორკვევის პროცესი გაიარა და აქვს საერთო ისტორია, ენა, კულტურა, ტრადიციები, ტერიტორია, ადმინისტრაციული სახელმწიფო ინსტიტუტები და იმართება ერთი მთავრობის იურისდიქციით. საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა და მიისწრაფის ტოლერანტულობისა და ყველა მოქალაქისადმი თანასწორი დამოკიდებულებისკენ. „ეთნიკური ჯგუფი არის მოსახლეობა, რომლის წევრებიც ერთმანეთთან იდენტიფიკაციას აკეთებენ რეალურად ან სავარაუდოდ არსებულ საერთო გენეალოგიასთან ან წინაპრებთან“[4]. ზოგადად ეროვნული უმცირესობა არის სახელმწიფოში მცხოვრები მოქალაქეთა ჯგუფი, რომლის რიცხოვნობაც ჩამოუვარდება მოსახლეობის უმრავლესობისას, ისინი უმრავლესობისგან განსხვავებულ ენაზე საუბრობენ, მისდევენ სხვა რელიგიას და სხვა ეთნიკური წარმოშობა აქვთ.

თანამედროვე სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელია მრავალი ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა, დემოკრატია აერთიანებს სხვადასხვა მოსაზრებებს, იდეებს, ცხოვრების წესებს. თანამედროვე საერთაშორისო საკანონმდებლო ინსტრუმენტები კრძალავენ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას „ეროვნულ ან ეთნიკურ ჯგუფებზე“.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით: „საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ მშობლიური ენით პირად ცხოვრებასა და საზოგადოებაში“. (საქართველოს კონსტიტუცია, 38.1 მუხლი).

1992 წელს გაერომ მიიღო „ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობებისადმი მიკუთვნებულ ადამიანთა უფლებების“ დეკლარაცია, რომლის მიხედვით, ეროვნულ უმცირესობებს უნდა ჰქონდეთ უფლება თავისუფლად გამოხატონ საკუთარი კულტურა, რელიგია და ენა, როგორც საზოგადოებაში ისე პირად ცხოვრებაში. აქვთ უფლება, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს კულტურულ, რელიგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე, იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც ეხება

[4] http://www.diffen.com/difference/Ethnicity_vs_Race

მათ, როგორც ეროვნულ უმცირესობებს. „სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რომ შექმნას ხელსაყრელი გარემო, იმისთვის რომ უმცირესობების წარმომადგენლებმა გამოხატონ საკუთარი განსხვავებულობა, განავითარონ საკუთარი კულტურა, ენა, რელიგია, ტრადიციები და ჩვევები, იმ კერძო შემთხვევების აღკვეთის პარალელურად, რომლებიც არღვევენ სახელმწიფო კანონს და ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო სტანდარტებს“ (მუხლი 4.2). უმცირესობებმაც თავის მხრივ, პატივი უნდა სცენ კანონს და იმ ფაქტს, რომ „აკრძალულია ყველა ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებსა და პრინციპებს, მათ შორის სუვერენულ თანასწორობას, ტერიტორიულ მთლიანობას და ქვეყნების პოლიტიკურ დამოუკიდებლობას“ (მუხლი 8.4).

მსგავს დამოკიდებულებებს შევხვდებით საქართველოს კონსტიტუციაში:

„საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 38.2). ■

სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას
ჩვენი უფლებები: დაიცვას ჩვენი სიცოცხლე,
ღირსება და ჰირადი ხელშეუხებლობა;
უზრუნველყოს გადაადგილების
თავისუფლება; ხელი შეუწყოს განათლებას
თავისუფალ და თანასწორ ჰირობებში და
დაფუძნოს ისეთი გარემო, სადაც ამ
უფლებების განხორციელება დისკრიმინაციის
გარეშე იქნება შესაძლებელი.

ნაწილი III

სამოქალაქო საზოგადოება და მოქალაქეთა ჩართულობა

რა არის სამოქალაქო საზოგადოება? რატომ უნდა მონაწილეობდეს მოქალაქე საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში? რატომ არის მოქალაქეთა აქტიურობა დემოკრატიისთვის აუცილებელი? რა არის საჯარო ინფორმაცია და როგორ გამოვითხოვოთ ის? რა როლი შეუძლია ითამაშოს ცალკეულმა პიროვნებამ საზოგადოებაში დემოკრატიის შენარჩუნებასა და განვითარებაში?

რა არის სამოქალაქო საზოგადოება?

წლების განმავლობაში ამ ტერმინმა საზოგადოების ფართო სპექტრი მოიცვა. მსოფლიო ბანკი ტერმინ სამოქალაქო საზოგადოებას შემდეგნაირად განმარტავს: სამოქალაქო საზოგადოება არასამთავრობო და არამომგებიანი ორგანიზაციების ფართო სპექტრია, რომლებიც საზოგადოებივ ცხოვრებაში არსებობენ და გამოხატავენ მათი წევრებისა და სხვათა ინტერესებსა და ფასეულობებს, ეთიკური, კულტურული, პოლიტიკური, სამეცნიერო, რელიგიური ან ფილანტროპული თვალსაზრისების გათვალისწინებით. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები (CSOs) არიან: საზოგადოებრივი ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები (NGOs), პროფესიული კავშირები, მკვიდრი მოსახლეობის ჯგუფები, საქველმოქმედო ორგანიზაციები, რელიგიური ორგანიზაციები, პროფესიული ასოციაციები და ფონდები[5].

სამოქალაქო საზოგადოების არსებობა ჯანმრთელი დემოკრატიული საზოგადოებების არსებითი მახასიათებელია. როდესაც ცალკეული პიროვნებები საერთო ინტერესებითა და საფუძვლებით ერთობლივად იწყებენ მუშაობას, იზიარებენ რესურსებს, მეტად შეუძლიათ მიაღწიონ მიზანს, ვიდრე ამას ცალკეული პიროვნებები მარტოები შეძლებენ. სამოქალაქო საზოგადოება სხვადასხვა როლს თამაშობს. მისი ზოგიერთი ჯგუფები ლობირებენ კანონმდებლებზე კანონში ცვლილებების შეტანის მიზნით, მაშინ როდესაც სხვა ჯგუფები ლობირებენ არსებული კანონების დაცვასა და მათ აღსრულებას; ზოგიერთი ჯგუფები შესაძლოა ხედავდნენ საკუთარ როლს სხვადასხვა საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორ-

[5] http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/TOPICS/CSO/0,,contentMDK:20101499~menuPK:244752~pagePK:220503~piPK:220476~theSitePK:228717,00.html

მირებასა და განათლებაში; ზოგიც შესაძლოა იყოს გარკვეული საკითხის გაუმჯობესებისკენ მიმართულ მოქმედებაზე ორიენტირებული; ზოგიერთი მსხვილი სამოქალაქო ორგანიზაცია შესაძლოა ორ ან მეტ ზემოთ ჩამოთვლილს ახორციელებდეს გარკვეული საკითხ(ებ)ის გასაუმჯობესებლად.

დემოკრატიული საზოგადოების წევრებს აქვთ უფლება ორგანიზებულად ითანამშრომლონ რათა დაადგინონ მიზნები, განსაზღვრონ საჭიროებები, ზეგავლენა იქონიონ საჯარო პოლიტიკაზე და მოითხოვონ ხელისუფლების ანგარიშვალდებულება. ეს შესაძლოა მიღწეულ იქნას სამოქალაქო საზოგადოებით, რომელიც ძლევამოსილი ხერხია ხელისუფლების ანგარიშვალდებულების მოთხოვნისა და ცვლილებების ადვოკატირებისთვის.

დემოკრატიამ უნდა შექმნას სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და ფუნქციონირებისთვის ხელსაყრელი გარემოებები. დემოკრატიულ საზოგადოებებში სამოქალაქო საზოგადოება დაცულია კანონით. სახელმწიფო/ხელისუფლება არ უნდა ქმნიდეს ანდა ერეოდეს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებში, მაგრამ შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი რათა შექმნას საკანონმდებლო ჩარჩო სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების თავისუფლად და დამოუკიდებლად ფუნქციონირებისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელისუფლებამ არ უნდა აკონტროლოს სამოქალაქო საზოგადოება, მაგრამ მას აქვს ძალაუფლება დაარეგულიროს მათი საქმიანობები კანონების საშუალებით.

სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მისიაა ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგი და დეტალური შესწავლა. ფაქტია, რომ ხელისუფლებებს აქვთ ტენდენცია, გადაამეტონ თავიანთ ძალაუფლებას. ეს ძირითადად მაშინ ხდება, როდესაც ხელისუფლება იყენებს თავის უფლებებსა თუ ძალაუფლებას, მაგრამ არ მოწმდება და არ ასრულებს თავის ვალდებულებებს მოქალაქეების მიმართ.

სამოქალაქო საზოგადოება არ უნდა ჩაერიოს ხელისუფლების საქმიანობაში. მან ასევე არ უნდა შეასრულოს ხელისუფლების ფუნქციები, მას არ აქვს უფლება გამოსცეს ანდა პრაქტიკაში განახორციელოს კანონები, ასევე, განახორციელოს აღმასრულებელი ძალაუფლება. ეს ყველაფერი ზემოთ თქმული ხელისუფლების პრეროგატივაა. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო საზოგადოებას აქვს უფლება გამოაშკარავოს ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სხვადასხვა შემთხვევები, მაგალითად, გამოაშკარავოს კანონის დარღვევის, პიროვნული თავისუფლებისა და ღირსების შეურაცხყოფის შემთხვევები. ამასთანავე, როგორც ეს საიას შესახებ საუბრისას უკვე აღვნიშნეთ, სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნა მაშინ, როდესაც ამას არ აკეთებს მთავრობა ან კერძო სექტორი.

მართალია, სამოქალაქო საზოგადოებას არ შეუძლია შეცვალოს ხელისუფლება ან თავის თავზე აიღოს ხელისუფლების ფუნქციები, მაგრამ მას უთუოდ

აქვს უფლება გააკონტროლოს ხელისუფლების საქმიანობები და ზეგავლენა მოახდინოს მათზე. გამომჟღავნება და გაკრიტიკება, რეკომენდაციების გაწევა და კონსტრუქციული თანამშრომლობის შეთავაზება, საპროტესტო განცხადებები, მშვიდობიანი საპროტესტო მანიფესტაციების მოწყობა და მათში მონაწილეობა – ესენი ის რამდენიმე საშუალებაა, რითაც სამოქალაქო საზოგადოებას აქვს უნარი უბიძგოს ხელისუფლებას დაიცვას სოციალური სამართლიანობა და ადამიანის უფლებები. ეს საშუალებები ვერ უზრუნველყოფენ შესანიშნავ ატმოსფეროს ქვეყანაში, მაგრამ მათ შეუძლიათ შეამცირონ სახელმწიფოს უნარი გადააჭარბოს თავის ძალაუფლებას და გაზარდოს მთავრობის ანგარიშვალდებულების შეგრძნება.

რატომ უნდა მონაწილეობდეს მოქალაქე საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში?

„იმედის“ საქმე საქართველოს უახლეს ისტორიაში სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი მაგალითია. 2000 წელს საქართველოს მოქალაქეებმა გამოიძიეს ჯანმრთელობის მდგომარეობის საკითხები ბავშვებში და გადაწყვიტეს დაეარსებინათ არასამთავრობო ორგანიზაცია „იმედი“. 2001 წელს „იმედმა“ მიიღო გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) დაფინანსება პროექტისთვის სახელწოდებით „ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი საქართველოს მთიან რეგიონებში“. პროექტის განმავლობაში „იმედისთვის“ ნათელი გახდა, რომ გარკვეულ რეგიონებში ბავშვების უმრავლესობას ჰქონდა ფარისებრი ჯირკვლის მწვავე პრობლემები, რაც იოდის ნაკლებობით იყო გამოწვეული. ასევე გაირკვა, რომ ამასთან დაკავშირებით არ არსებობდა სახელმწიფო პროგრამები. „იმედის“ წევრებმა ანგარიში წარადგინეს ჯანდაცვის სამინისტროში და ბავშვთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში. ამასთანავე, ლობირებდნენ, რათა ხელისუფლებას მიეღო ზომები და მიეწოდებინა იოდიზირებული მარილი მაღალმთიან რეგიონებში.

2002 წელს „იმედმა“ თანამშრომლობა შესთავაზა ორგანიზაციას „ქალი და ჯანმრთელობა“ მაღალმთიან რეგიონებში ქალთა რეპროდუქტიული ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კვლევის ჩასატარებლად. კვლევამ აჩვენა, რომ იოდის ნაკლებობას მთიან რეგიონებში ჰქონდა უარყოფითი გავლენა არა მხოლოდ ბავშვთა, არამედ ქალთა ჯანმრთელობაზეც, რაც დაკავშირებული იყო საშვილოსნოს კიბოს გამოწვევასთან. „იმედის“ რეკომენდაციებმა შედეგად მოიტანა სპეციალური სახელმწიფო პროგრამები, რომლებმაც უზრუნველყვეს მთიანი რეგიონების უმრავლესობისთვის იოდიზირებული მარილის მიწოდება. იმ რეგიონებში, სადაც სახელმწიფო ძალისხმევა არ იყო საკმარისი არასამთავრობოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საშუალებით მოხერხდა ჰუმანიტარული მისიების განხორციელება. ეს არის სამოქალაქო საზოგადოების ხელისუფლებასთან თანამშრომლობით საზოგადოებრივი პრობლემის გადაწყვეტის ნათელი მაგალითი.

რატომ არის მნიშვნელოვანი მოქალაქის მონაწილეობა დემოკრატიისთვის?

საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის ერთ-ერთი გამოწვევა ხელისუფლებაში და მის გარეთ მოქალაქეთა მონაწილეობაა. მოქალაქეთა მონაწილეობის რეალიზება უმნიშვნელოვანესია კარგი მმართველობის პრინციპის უზრუნველყოფისთვის. კარგი მმართველობა ერთის მხრივ გულისხმობს საზოგადოებას და მოქალაქეს, რომლებსაც აქვთ სურვილი და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, ხოლო მეორეს მხრივ – საჯარო მოხელეებს, რომლებსაც უნდათ ითანამშრომლონ მოქალაქეებთან.

დემოკრატია არ გულისხმობს მხოლოდ მოქალაქეთა მონაწილეობას არჩევნებში. დემოკრატიის არსებობა დამოკიდებულია მოქალაქის ყოველდღიურ საქმიანობაზე. დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქემ თავისი ინიციატივით უნდა იმონაწილეოს საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში, საკუთარი და მისი თანამემამულეების უფლებების დაცვაში. მოქალაქეები ასევე უნდა იყვნენ ჩართულები გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც გულისხმობს ახლო თანამშრომლობას საჯარო თანამდებობის პირებთან.

დემოკრატიული საზოგადოებისთვის სასიცოცხლოა, რომ მოქალაქეს ჰქონდეს პასუხისმგებლობა საზოგადოებისადმი და მისი თანამემამულე მოქალაქეებისადმი. მოქალაქე არ უნდა იყოს ფოკუსირებული მხოლოდ თავის ინტერესებზე, არამედ მან თავისი წვლილი უნდა შეიტანოს საზოგადოების საერთო კეთილდღეობაში. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს მოქალაქეთა მოხალისეობრივ ჩართულობას საზოგადო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, რომლებიც არ არიან ორიენტირებულნი ფინანსურ მოგებებზე და მიზნად ისახავენ გარკვეული სოციალური პრობლემების გადაჭრას მოქალაქის მიერ გამოყენებული შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების მეშვეობით. გარდა არჩევნებში მონაწილეობისა არსებობს საზოგადოებაში მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა გზები. ქვემოთ წარმოდგენილია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეების ჩართულობის სახეობის ზოგიერთი მაგალითი:

ჯგუფში მონაწილეობა. პიროვნებები თავისუფლები არიან გაერთიანდნენ შესაბამის ჯგუფებში საკუთარი ინტერესებისა და საკითხების მიხედვით. მაგალითად, პიროვნებები ერთიანდებიან: ეკლესიის ჯგუფში ან რელიგიურ ორგანიზაციაში, სკოლის ჯგუფში, სპორტულ ან გასართობ ასოციაციაში, სამოქალაქო ასოციაციებში და საზოგადოებრივ კლუბებში. გარკვეულ შემთხვევებში ჯგუფებში მონაწილეობა შესაძლოა იგივე მნიშვნელობის იყოს, როგორიცაა თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასთან. ამასთანავე, შესაძლოა რომ მოქალაქეობრივი ჩართულობისას აქცენტი გაკეთდეს ისეთ აქტივობებზე, რომლებიც ეწინააღმდეგებიან არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ აღნიშნული სა-

კითხების მოგვარების ძალისხმევებს. ასევე, განსხვავება შესაძლოა იყოს ის, რომ ზოგიერთი ასეთი ჯგუფი გარკვეულ შემთხვევებში მხოლოდ იმისთვის არსებობდეს, რათა გარკვეულ საზოგადოებას ან ინტერესს ემსახუროს.

მსოფლიოში მსგავსი ორგანიზაციებისა და კლუბების ბევრი მაგალითი არსებობს, სადაც ცალკეული პიროვნებები იზიარებენ რა საერთო ინტერესებს, ერთიანდებიან საზოგადოების სამსახურისთვის. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ადგილობრივი ბაღის კლუბში გაერთიანება, რომლის წევრები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს მებაღეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარების და ისეთ პროექტებში მონაწილეობის მიზნით, როგორებიცაა ნარგავების დარგვა და საზოგადოებისთვის ადგილობრივ პარკში ბაღის შენარჩუნება. ამ ტიპის ასოციაცია შესაძლოა იყოს არაფორმალური, ხელმძღვანელობის ნაკლებად ჩამოყალიბებული იერარქიით ან წევრობის მოთხოვნებით. სხვა ორგანიზაციებს შესაძლოა უფრო ფორმალური სტრუქტურა და მყარად ჩამოყალიბებული წესები ჰქონდეთ, თუ ვის შეუძლია მასში გაერთიანება. მაგალითისთვის, არსებობენ ზოგიერთი სამოქალაქო ორგანიზაციები, რომლებიც წევრებად აერთიანებენ მხოლოდ მოწვეულ პირებს, რაც ითვალისწინებს წევრობის გადასახადს და სხვა ვალდებულებების შესრულებას. ეს ორგანიზაციები წევრებისთვის ითავსებენ ბევრ სოციალურ ფუნქციას. ისინი ასევე საზოგადოების სამსახურის მიზნით აწარმოებენ ფონდების მოძიებასა და მნიშვნელოვანი საკითხებისთვის ფონდების დონაციას, ან საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელ პროგრამებს. არსებული ჯგუფის არჩევა მონაწილეობისათვის ან ახალი ჯგუფის ფორმირება ნიშნავს ემსახურო საკუთარ და საზოგადოების/თემის ინტერესებს. ასეთმა ჯგუფებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საზოგადოებაში.

ინფორმაციასთან და კულტურულ მოვლენებთან დაკავშირება. დემოკრატიულ საზოგადოებაში პიროვნებებს აქვთ პასუხისმგებლობა იყვნენ ინფორმირებულები უახლესი მოვლენების შესახებ. როდესაც პიროვნებები ინფორმირებულები არიან, ისინი უკეთ მონაწილეობენ საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ახორციელებენ ხელისუფლების, ბიზნესის, ორგანიზაციების ან ცალკეულ პიროვნებათა საქმიანობების მონიტორინგს იმ მიზნით, რომ ყურადღება მიაქციონ იმ ქმედებებს, რომლებიც შესაძლოა საფრთხეს უქმნიან საზოგადოების კეთილდღეობას.

ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სხვადასხვა გზით, როგორებიცაა: სატელევიზიო ნიუსების ყურება, გაზეთების წაკითხვა, საჯარო დისკუსიებში მონაწილეობა, რადიოს მოსმენა, ჟურნალების კითხვა, ინფორმაციების განთავსება ონლაინ წყაროებში, ლექციებზე დასწრება და საკითხების სხვებთან განხილვა (ეს შესაძლოა ტექნოლოგიების გამოყენებითაც მოხდეს, როგორიცაა ონლაინ ბლოგ ჩატები, facebook-ის დიალოგები ან Twitter). უახლესი მოვლენების შესახებ ინფორმირებული სამოქალაქოდ მოაზროვნე პიროვნებები რეგულარულად იყენებენ ზემოთ აღნიშნულს, რომ კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია მიიღონ, რასაც საკუთარ პასუხისმგებლობად მიიჩნევენ.

პოლიტიკური საქმიანობა. არჩევნებში მონაწილეობა სამოქალაქო ჩართულობის თვალსაჩინო მაგალითად აღიქმება, თუმცა ხმის მიცემა მისი მხოლოდ ერთერთი მეთოდია. არსებობს ბევრი სხვადასხვა სახის მნიშვნელოვანი პოლიტიკური საქმიანობა, რომელსაც ცალკეული პიროვნებები აკეთებენ, როგორიცაა პარტიისთვის ან კანდიდატისთვის მხარდაჭერის გამოხატვა, რის გამოსამჟღავნებლადაც პიროვნებები სპეციალურ გულსაბნევს ატარებენ ან საკუთარ მანქანებზე ათავსებენ სტიკერებს, რომლებსაც აწერიათ მათ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატ(ებ)ის სახელ(ებ)ი ან კანდიდატ(ებ)ის კამპანი(ებ)ის სლოგან(ებ)ი; კანდიდატისა თუ პოლიტიკური პარტიისთვის ფონდების მოზიდვის აქციის დასწრება ანდა მსგავსი აქციის ორგანიზებაში მონაწილეობა; კამპანიისთვის ფულის შეწირვა; კანდიდატისთვის ხმის მისაცემად სატელეფონო ზარების განხორციელება ან ამავე მიზნით მოხალისეობრივად კანდიდატის კამპანიაში მონაწილეობა. მოქალაქეებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ საჯარო პოლიტიკის წარმოებაში, როგორიცაა კანონებში ცვლილებების მოხდენის მიზნით პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვება პარლამენტში ან ადგილობრივ ხელისუფლებაში წარსადგენად; ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლების თანამდებობის პირებთან კონტაქტით ან საჯარო შეხვედრებზე დასწრებით, რათა გამოხატონ შეხედულებები გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით ან გაანათლონ საზოგადოება მნიშვნელოვან საკითხებზე სხვების მოტივირების მიზნით. სხვა მეთოდები საჯარო პირებთან შეხედულებების კომუნიკაციისთვის არის მშვიდობიანი საპროტესტო შეკრებებისა და დემონსტრაციების დასწრება და ორგანიზება.

არჩეული საჯარო თანამდებობის პირები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა უსმენდნენ საზოგადოებას, რომელსაც ემსახურებიან. ამ მიზეზით მოქალაქეებს გადამწყვეტი როლის თამაში შეუძლიათ პოლიტიკის შექმნაში თუ ისინი ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით თავიანთ შეხედულებებს ხმამაღლა გამოხატავენ. ქართული ვარდების რევოლუცია კარგი მაგალითია, თუ რა ძალაუფლება შეიძლება ჰქონდეს ხალხს, როდესაც ბევრი მათგანი გადაწყვეტს ერთად იმოქმედოს რაიმეს მხარდასაჭერად.

ეკონომიკური აქციები. ხანდახან მოქალაქეებს შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი ძალაუფლება ეკონომიკური აქციებით. ეს შესაძლოა გაკეთდეს რაიმე პროდუქტისა თუ მომსახურების შესყიდვით ან პირიქით შესყიდვაზე უარის თქმით, რათა გამოხატო მწარმოებლების ფასეულობებისა ან მათი საქმიანობების წინააღმდეგობა ან მხარდაჭერა. მაგალითად, ყოფილა შემთხვევები, როდესაც პიროვნებათა ფართო ჯგუფებმა შეწყვიტეს გარკვეული ტანსაცმლის ბრენდის შესყიდვა მას შემდეგ, რაც შეიტყვეს, რომ ნივთები იწარმოებოდა ისეთ პირობებში, რომლებიც არღვევდნენ სხვა ადამიანის უფლებებს. როდესაც კომპანიებს ემუქრებათ სარგებლის ფართომასშტაბიანი დაკარგვა, ხანდახან ისინი არჩევენ შეცვალონ სტრატეგია, რათა ხელახლა დაიბრუნონ მომხმარებლები.

მომსახურება ან მოხალისეობრივი საქმიანობა. მოხალისეებმა შესაძლოა უზრუნველყონ საზოგადოებისთვის სხვადასხვა სახის მომსახურება. მოხალისეობა შესაძლოა პერიოდული სიხშირით განხორციელდეს, მაგალითად ერთხელ კვირაში, ან განხორციელდეს მოხალისეობის ერთჯერადი აქტებით. მოხალისეობისთვის დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ პიროვნება ხარჯავს თავის დროს ყოველგვარი ფულადი სარგებლის გარეშე სხვებისთვის. სოციალური საკითხების მოხალისეობრივად განხორციელების პოტენციალი თითქმის შეუზღუდავია. რამდენიმე მაგალითია უსახლკაროებისთვის ან მოხუცებულებისთვის სადილით მომსახურება, ობოლთა თავშესაფარში მყოფი ბავშვებისთვის წიგნის წაკითხვა ან სწავლება, ქალაქის პარკის დასუფთავება ან არჩევნებზე დაკვირვება. ხანდახან ცალკეული პიროვნებები პირადად უკავშირდებიან ობოლთა თავშესაფარს და სთავაზობენ მათთვის საჭირო მომსახურებას. სხვა შემთხვევაში პიროვნებებს შეუძლიათ განახორციელონ მოხალისეობა რომელიმე ორგანიზაციის საშუალებით, რომელსაც უკვე აქვს იდენტიფიცირებული საჭიროებები მოხალისეობის განსახორციელებლად და აქვს მყარი სისტემა და ურთიერთობა ამ საჭიროებების უზრუნველსაყოფად. მიუხედავად მოხალისეობის პერიოდულობისა, მოქმედების ტიპისა ან მეთოდისა (მარტო ან ორგანიზაციის საშუალებით განხორციელებისა), მოხალისეობა არის საშუალება, რომლითაც თითქმის ყველა მოქალაქეს შეუძლია დაკავდეს საზოგადოებრივი საკითხებით.

რა არის საჯარო ინფორმაცია და როგორ გამოვითხოვოთ ის?

საქართველოს კონსტიტუციისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია საჯარო დაწესებულებებიდან, როგორებიცაა: სამინისტროები, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საკრებულოები, გამგეობები. საჯარო უწყებებმა პასუხი შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში უნდა წარმოადგინონ, საბოლოო ვადა კი წერილის რეგისტრაციის თარიღიდან არა უმეტეს 10 სამუშაო დღით განისაზღვრება.

საჯარო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია, რომლის გაცემაც უნდა მოხდეს მოთხოვნის შემთხვევაში. საჯარო ინფორმაციად ითვლება, მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მშენებლობისა თუ სხვა საჯარო ღონისძიების (კონცერტის) დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხის რაოდენობა. ნებისმიერ მოქალაქეს აქვს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაცია მიჩნეულია კომერციულ საიდუმლოდ, პირად ინფორმაციად ან სახელმწიფო საიდუმლოებად.

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით უნდა მოამზადოთ წერილი შესაბამისი დაწესებულების სახელზე (სადაც დაცულია თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია). დაწესებულების სახელი განათავსოთ წერილის კიდეში, შემდეგ მიუთითოთ თქვენი სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია და ჩამოაყალიბოთ თქვენი შეკითხვა. წერილის ბოლოს კი ხელი უნდა მოაწეროთ და დაათარიღოთ. საჯარო ინფორმაციის შესახებ განცხადების წარდგენა უფასოა.

მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, მოქალაქეს უარის შესახებ განცხადების დარეგისტრირებიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში შეატყობინოს. საჯარო დაწესებულების პასუხი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას უარის გასაჩივრების წესის შესახებ[6].

რა როლი შეუძლია ითამაშოს ცალკეულმა პიროვნებამ საზოგადოებაში დემოკრატიის შენარჩუნებასა და განვითარებაში?

თანამედროვე დემოკრატია წარმოუდგენელია აქტიური მოქალაქეების გარეშე. აქტიურობა ვლინდება ორი მიმართულებით: პირველი, როდესაც მოქალაქეები ნებაყოფლობით/მოხალისეობრივად მონაწილეობენ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში და მეორე, როდესაც მოქალაქეების აქტიურობა გამოხატულია საჯარო მმართველობის პროცესებში მონაწილეობით.

სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილე მოქალაქე მოტივირებული და გათვითცნობიერებულია, რომ დემოკრატიული საზოგადოების განვითარება დამოკიდებულია არა მხოლოდ სახელმწიფო რეგულაციებსა და საბაზრო ეკონომიკაზე, არამედ აქტიურ მოქალაქეობაზე. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული მოქალაქე ან ჯგუფი გრძნობდეს თავის პასუხისმგებლობას და დგამდეს კონკრეტულ ნაბიჯებს გარკვეული სფეროს გაუმჯობესებისათვის.

თანამდეროვე დემოკრატიაში მოქალაქეები აქტიურად მონაწილეობენ საჯარო პირებთან მმართველობის ამოცანების მისაღწევად. ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის ორგანიზებული ფორმები. ეს ფორმები ნიშნავს, რომ საზოგადოების თითოეულ წევრს უნდა მიეცეს შესაძლებლობა იმონაწილეოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თითოეული და ყველა უნდა გრძნობდეს, რომ რეალობაში ის სახელმწიფოს პატივსაცემი წევრია და აქვს შესაძლებლობა სახელმწიფოს საკეთილდღეოდ თავისი წვლილი შეიტანოს. ■

[6] For more information: http://transparency.ge/blog/progor-gamovitkhovot-sadjaro-inpormatsia-sakartveloshi-sulmtsire-3-milioni-lari-daikhardja-saa

დემოკრატია არ გულისხმობს მხოლოდ
მოქალაქეთა მონაწილეობას არჩევნებში.
დემოკრატიის არსებობა დამოკიდებულია
მოქალაქის ყოველდღიურ საქმიანობაზე.
დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქემ
თავისი ინიციატივით უნდა იმონაწილეოს
საზოგადოებრივად ღირშესანიშნავი საკითხე-
ბის გადაწყვეტაში, საკუთარი და მისი
თანამემამულეების უფლებების დაცვაში.
მოქალაქეებმა ასევე უნდა იყვნენ ჩართულები
გადაწყვეტილების მიღების პროცესში,
რაც გულისხმობს მხარდაჭერას
საჯარო თანამდებობის პირებთან.


1
2

ნაწილი IV

არჩევნები და წარმომადგენლობითი დემოკრატია

როგორ ფუნქციონირებს წარმომადგენლობითი დემოკრატია?
რა როლი აქვს არჩევნებს დემოკრატიაში?

როგორ ფუნქციონირებს წარმომადგენლობითი დემოკრატია?

წარმომადგენლობითი დემოკრატიის დროს ხალხი ირჩევს წარმომადგენლებს და ანიჭებს მათ ნდობას, გადასცემს რა მათ ხელმძღვანელობის უფლებას. ამ უფლების გადაცემა ხალხიდან მათ წარმომადგენლებზე არის დაფუძნებული ეფექტურობისა და ქმედითუნარიანობის პრინციპებზე. მოქალაქეებს არ აქვთ საშუალება ყოველდღიურად მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკური თუ სოციალური საკითხების განხილვაში. წარმომადგენლობითი ორგანოები (ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება) სწორედ იმისთვისაა არჩეული, რომ შეინარჩუნონ კავშირი ხალხთან, ვინც მათ ძალაუფლებას ანიჭებს და უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესის წარმართვა სწრაფად და ეფექტიანად.

წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფუნქციონირებისთვის უმნიშვნელოვანესია ხალხთან კავშირის შენარჩუნება. ეს კავშირი შეიძლება გამოიხატებოდეს დადგენილი პერიოდულობით ჩატარებული არჩევნების სახით, ასევე რეფერენდუმით, რომელიც პირდაპირი დემოკრატიის ფორმაა. წარმომადგენლის არჩევა მართვის ორგანოებსა თუ მთავრობაში არის ამომრჩეველთა მიმართ ანგარიშვალდებულების მაგალითი.

მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეებმა გაიგონ თუ რა ძალა აქვს მათთვის განკუთვნილ ბიულეტენს, ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეები თანაბრად იყვნენ ჩართულები არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ, რათა მათ მიერ არჩეულმა თანამდებობის პირებმა შეასრულონ თავიანთი პასუხისმგებლობები და მათივე კამპანიის დროს გაკეთებული დაპირებები. მოქალაქეებს

ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ მათი წარმომადგენლები მათივე არჩეულები არიან და მათ ხელფასებს მოქალაქეები უხდიან (გადასახადების გადახდის საშუალებით).

თანამედროვე წარმომადგენლობით დემოკრატიაში გადაწყვეტილების მიღების დროს უმრავლესობას ენიჭება უპირატესობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უმრავლესობას შეუზღუდავი ძალაუფლება აქვს. დემოკრატია არა მხოლოდ უმრავლესობის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, არამედ უნდა იცავდეს ყოველი მოქალაქის თავისუფლებასა და ღირსებას, რელიგიური, ეთნიკური, სექსუალური და პოლიტიკური უმცირესობების ჩათვლით. უმრავლესობას აკონტროლებს კანონი, რომლის მიზანია დააბალანსოს უმრავლესობის ძალის გამოყენება, რათა არ დაირღვეს უმცირესობათა უფლებები.

თანამედროვე დემოკრატიის ელემენტებია ძალაუფლების გადანაწილება და ადამიანთა უფლებების დაცვა. წარმომადგენლობითი დემოკრატიის ტრადიციული ელემენტები, როგორებიცაა პერიოდული არჩევნები და სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოების მიერ ერთმანეთის კონტროლი, სრულად არ განაპირობებს ეფექტურ კავშირს ხალხთან. სწორედ ამ მიზნით ძალიან მნიშვნელოვანია სახელწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის შენარჩუნება. საზოგადოება, რომელიც აქტიურად არის ჩართული მართვის პროცესში, იძენს პასუხისმგებლობის გრძნობას და შეგრძნებას, რომ ის სახელმწიფოს და ქვეყნის ნაწილია.

რა როლი აქვს არჩევნებს დემოკრატიაში?

ამომრჩევლებისთვის არსებობს საკუთარი აზრისა და სურვილების გამოხატვის (ხმის მიცემის) ორი გზა. შესაბამისად, არსებობს დემოკრატიის ორი ფორმა: **პირდაპირი** და **წარმომადგენლობითი**. პირდაპირი დემოკრატიის შემთხვევაში თვითონ ამომრჩევლები და არა მათი არჩეული წარმომადგენლები ან დანიშნული თანამდებობის პირები, ხმის მიცემით იღებენ გადაწყვეტილებებს იმ სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მათთვის მნიშვნელოვანია. პირდაპირი დემოკრატიის ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტია ამომრჩეველთა შედარებით მცირე რაოდენობა და ისეთი საკითხი, რომელიც არ მოითხოვს ამომრჩეველთა მხრიდან დიდი დროისა და ენერგიის დახარჯვას. პირდაპირი დემოკრატია შეიძლება განხორციელდეს მაგალითად, სოფლის შეხვედრებზე, პროფესიული კავშირების ან ადგილობრივი ორგანიზაციების გენერალურ შეხვედრებზე და ა.შ. თანამედროვე დემოკრატია უმეტესად წარმომადგენლობითია: მოქალაქეები პირდაპირ ირჩევენ საკუთარ წარმომადგენლებს, რომლებიც თავის მხრივ იღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, ქმნიან კანონებს, შეიმუშავებენ პოლიტიკასა და სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მათ განხორციელებას.

კონსტიტუციით უზრუნველყოფილია პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობა, მათ შორის პირდაპირი დემოკრატიით, რაც

ნიშნავს არა მაგალითად პარალამენტის დახმარებით, არამედ თავად მოქალაქეების მიერ გადაწყვეტილებების მიღებას მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი და საჯარო საკითხების შესახებ. პირდაპირი დამოკრატიის სახეებია **არჩევნები** და **რეფერენდუმი**.

წარმომადგენელთა არჩევა არის პროცედურა, რომლის მეშვეობითაც, თითოეულ ადამიანს შეუძლია განახორციელოს მისი ერთ-ერთი ძირითადი უფლება – საკუთარი ქვეყნის მმართველობაში მონაწილეობა.

ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციის
21-ე მუხლში ვკითხულობთ:

- ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ანდა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.
- ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.
- ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა; ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების პირობებში, ფარული კენჭისყრით, ანდა სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას.

ნებისმიერ სახელმწიფოში არჩევნები არის მოქალაქეების მიერ ნების გამოხატვის საშუალება და ქვეყნის დემოკრატიულობის საზომი. არჩევნების შედეგად ვიღებთ საკანონმდებლო, აღამსრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს, მათ გეგმებს და პროგრამებს, როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე. აღნიშნული კი ორმხრივი შეთანხმების პროცესია და დაფუძნებულია მოქალაქეებზე ვინც უნდა მართოს ხელისუფლებამ. არჩევნები ეს არის გზა, რომლის შედეგადაც შეთანხმებები გადაიზრდება ხელისუფლების პასუხისმგებლობებსა და უფლებებში.

არჩევნები არის შეთანხმების მექანიზმი, რომლის შედეგი არის შეთანხმება (კონტრაქტი) საზოგადოების წევრებისა ხელისუფლებასთან მმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებიც ეხება პოლიტიკას და მის განხორციელებას.

როდესაც ვსაუბრობთ არჩევნებზე თანამედროვე სახელმწიფოში, ვგულისხმობთ ქვეყნის უმაღლესი მმართველობის ორგანოს (პარლამენტი), აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირის (ტრადიციულად პრეზიდენტი), ასევე, პარლამენტის მიერ უმაღლესი თანამდებობის პირების არჩევას აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებში და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების პირდაპირ არჩევნებს.

სამოქალაქო საზოგადოებას აქვს უმნიშვნელოვანესი როლი არჩევნების პროცესში. აქტიური საარჩევნო სისტემის ქონა აუცილებალად არ განაპირობებს დე-

მოკრატიულ არჩევნებს. საარჩევნო სისტემისა და კანონმდებლობის განხორციელებისას გამჭვირვალობა დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისთვის უმნიშვნელოვანია.

აქტიური სამოქალაქო საზოგადოება თვალყურს უნდა ადევნებდეს საარჩევნო პროცესების განვითარებას, რათა უზრუნველყოს გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, პროცესისა და შედეგის სანდოობა. ეს გულისხმობს დაკვირვებას და კრიტიკული შეკითხვების დასმას წინასაარჩევნო პერიოდში (მაგალითად: გვაწვდის თუ არა მედია ზუსტ ინფორმაციას? რამდენად არიან პარტიები გამჭვირვალეები გაწეული ფინანსური დანახარჯების კუთხით? ადგილი აქვს თუ არა ადმინისტრაციული რესურსების გახარჯვას?), საარჩევნო კანონის შესახებ დისკუსიებში საკუთარი წვლილის შეტანას, არჩევნებზე დაკვირვებას და შედეგების დადასტურებას. ■

ვნიშვნელოვანია, რომ ვოჭალაჭეებმა
გაიგონ თუ რა ძალა აქვს ვათთვის
განკუთვნილ ბიულეტენს, ასევე
ვნიშვნელოვანია, რომ ვოჭალაჭეები თანაბრად
იყვნენ ჩართულები არჩევნებამდე და
არჩევნების შემდეგ, რათა ვათ ვიერ არჩეულმა
თანამდებობის ჰირმებმა შეასრულონ
თავიანთი ჰასუხისმგებლობები და ვათივე
კამპანიის დრო გაკეთებული დაჰირმებები.

ნაწილი V

ქალთა მონაწილეობა და მისი უზრუნველყოფა

რატომ არის მნიშვნელოვანი გენდერული თანასწორობა დემოკრატიის მშენებლობისთვის? რა განსხვავებაა ბიოლოგიურ სქესსა და გენდერს შორის? რა კეთდება საქართველოში გენდერული თანასწორობის კუთხით? რატომ უნდა მონაწილეობდნენ ქალები პოლიტიკაში?

რატომ არის მნიშვნელოვანი გენდერული თანასწორობა დემოკრატიის მშენებლობისთვის?

გენდერული თანასწორობის მნიშვნელობის გათავისება დღესდღეობით დემოკრატიის მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. მიიჩნევა, რომ რეალურად შეუძლებელია ნამდვილი დემოკრატიის ჩამოყალიბება გენდერული თანასწორობის გარეშე. სწორედ ამიტომ, მსოფლიო ბანკის 2012 წლის განვითარების ანგარიშში ხაზგასმულია გენდერის საკითხების მნიშვნელობა: „გენდერული თანასწორობა წარმოადგენს განვითარების ერთ-ერთ მიზანს. მეტიც, ის არის რაციონალურად დაგეგმილი ეკონომიკის საფუძველი. გენდერული თანასწორობა ზრდის შრომის ნაყოფიერებას და ხელს უწყობს მომავალი თაობების განვითარებას, უზრუნველყოფს რა ბალანს სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის“[7].

გენდერული თანასწორობა არის ადამიანის უფლებების ძირითადი პრინციპი. ის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებისთვის, რომელიც მოიცავს ქალთა და კაცთა თანაბარ ჩართულობას სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტში, დისკრიმინაციის გამორიცხვას[8], ორივე სქესის წარმომადგენლებისთვის თანაბარუფლებიანობის უზრუნველყოფას, სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და ქალებისა და კაცებისთვის დასაქმების თანაბარ შესაძლებლობას. საზოგადებაში, სადაც თანასწორობა დაცულია, ადამიანთა უფლებები, პასუხისმგებლობები და შესაძლებლობები არ არის განსაზღვრული სქესის მიხედვით. გენდერული თანასწორობა იმას კი არ ნიშნავს რომ ქალები და კაცები ერთნაირები არიან, არამედ იმას, რომ ქალსა და კაცს უნდა ჰქონდეს ერთნაირი პროფესიული, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, საოჯახო და ა.შ. შესაძლებლობები.

[7] World Bank (2012) World Development Report 2012, Gender Equality and Development
[8] Any distinction, exclusion or restriction made on the basis of sex, “Convention on the Elimination of all Forms of Discrimination against Women”, (CEDAW), article 1.

ბოლო 30-40 წლის განმავლობაში ქალთა და კაცთა როლის აღქმა შესამჩნევად შეიცვალა მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ სქესი ბიოლოგიურად განსაზღვრული ცნებაა, კულტურა და საზოგადოება თამაშობს დიდ როლს სქესთან დაკავშირებული ქმედებებისა და აღქმების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ამასთანავე, საჭიროა განვასხვავოთ ცნებები, **გენდერი** და **სქესი.**

რა სხვაობაა ბიოლოგიურ სქესსა და გენდერს შორის?

ბიოლოგიური სქესი წარმოადგენს ანატომიურ და ფიზიკურ მახასიათებელს, რომელიც ჰყოფს ადამიანებს ქალებად და კაცებად. ბიოლოგიური და ფიზიკური განსხვავებები ქალებსა და კაცებს შორის ასახულია მათ შორის ანატომიურ სხვაობაში. ასევე ეს განსხვავებები გამოხატულია ჰორმონალურ და ბიოქიმიურ დონეზე ადამიანის სხეულში. **სქესი ბიოლოგიურად არის განსაზღვრული**. ქცევის ფორმებს, რომლებიც დაკავშირებულია ქალისა და კაცის სხვადასხვა ბიოლოგიურ ფუნქციებთან, ეწოდება სქესობრივი როლები.

ბიოლოგიურ განსხვავებასთან ერთად, ქალი და კაცი განსხვავდება სოციალური როლებითაც, ასევე ფსიქოლოგიური მახასიათებლებით და ქცევის ფორმებით. თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში ტერმინი **გენდერი** გამოიყენება როგორც სქესის სოციალური მნიშვნელობა.

გენდერი მოიცავს ქალსა და კაცს შორის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს ქცევის ფორმებთან დაკავშირებით, რომლებიც განპირობებულია კულტურით. გენდერი არის სოციალური კონსტრუქტი, რომელიც განვითარებულია საზოგადოების მიერ და განსაზღვრავს ქალის და კაცის სოციალურ როლს, მათ სტატუსს სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტში. გენდერული როლები მოიცავს სოციალურად და კულტურულად განსაზღვრულ ქცევათა ფორმებს, ნორმებსა და ღირებულებებს ქალებისა და კაცებისთვის. გენდერული როლები იცვლება დროსა და სივრცეში. ესა თუ ის ქცევა, შეიძლება რომელიმე საზოგადოებაში კაცისთვის იყოს დამახასიათებელი, სხვა საზოგადოებაში კი ქალისთვის, ან ის რაც ქალისთვის დამახასიათებელ ქცევად იყო მიჩნეული ერთ ეპოქაში, შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს სხვა ეპოქაში.

სოციალიზაციის პროცესში პიროვნება იძენს კულტურულად განსაზღვრულ როლებს და აიგივებს საკუთარ თავს ერთ-ერთ გენდერულ როლთან. **გენდერული იდენტიფიკაცია** ნიშნავს კულტურულად განსაზღვრული გენდერული როლის აღქმასა და გაზიარებას.

კულტურა ტრადიციულად საზოგადოების წევრებს მიაწერს ფსიქოლოგიურ და ქცევის მახასიათებლებს, რომელიც რომელიმე სქესთან არის დაკავშირებული. ფართოდ გავრცელებული აზრი ფსიქოლოგიურ და ქცევის მახასიათებლებზე, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ქალი ან კაცი, არის **გენდერული სტერეოტიპი**.

რა კეთდება საქართველოში გენდერული თანასწორობის კუთხით?

გასული წლების განმავლობაში მსოფლიოში გენდერული თანასწორობის აქტუალიზაციისათვის სხვადასხვა სახის საშუალება იქნა გამოყენებული. რადგანაც გენდერული თანასწორობის საკითხები უმეტესად დაკავშირებულია ქალების უფლებებთან, ზემოაღნიშნული საშუალებების ამოცანაა ქალთა როლის გაძლიერება და თანასწორი გარემოს შექმნა.

15 წელია რაც საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით ჩამოაყალიბა ქვეყნის გენდერული პოლიტიკა. საერთაშორისო ხელშეკრულებებმა და რეზოლუციებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ამ პოლიტიკის შექმნაში. 1994 წელს საქართველო შეუერთდა ქალთა წინააღმდეგ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციას (CEDAW), რომლის მიზანია გენდერული თანასწორობის მიღწევა, ითვალისწინებს რა ქალთა მოთხოვნილებას, ჰქონდეთ თანაბარი უფლებები სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში. ეს დოკუმენტი გახდა საქართველოს ეროვნული გენდერული პოლიტიკის ძირითადი საფუძველი. სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ეროვნული გენდერული პოლიტიკა მოიცავს ინსტიტუციურ მექანიზმებს გენდერული თანასწორობისთვის და ეროვნულ დოკუმენტებს. 1998 წლიდან ეროვნული სამოქმედო გეგმები შეიმუშავებდნენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ ქალთა გაძლიერებას და გენდერულ თანასწორობას. 2010 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ – პირველი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავდა გენდერული თანასწორობის პოლიტიკას ქვეყანაში და აფუძნებდა გენდერული თანასწორობის საბჭოს.

2010 წელს ცვლილებები შევიდა პარლამენტის წესდებაში, რომლის საფუძველზეც დაარსდა გენდერული თანასწორობის საბჭო, როგორც მუდმივმოქმედი ორგანო. აღნიშნული საბჭო ფუნქციონირებს პარლამენტში და მისი თავმჯდომარეა პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი. გენდერული თანასწორობის საბჭო აერთიანებს პარლამენტის 12 წევრს. საბჭო განსაზღვრავს გენდერის ეროვნულ პოლიტიკას, ახორციელებს მის შესრულებასა და მონიტორინგს. საბჭოს ინიციატივითა და მხარდაჭერით შემუშავებულ იქნა გენდერული თანასწორობის გასაუმჯობესებელი კანონმდებლობა და დოკუმენტები. საბჭო აქტიურად თანამშრომლობს მთავრობასთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

2014 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „2014-2016 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა საქართველოში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის“, რომელიც ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ადგილობრივი თვითმმართველობა, სასჯელაღსრულებისა და პენიტენციალური გარემოს დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. გეგმა უფლებამოსილებას აძლევს საპარლამენტო გენდერული

თანასწორობის საბჭოს ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებას. სამოქმედო გეგმა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას, ეკონომიკურ სფეროში გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებას, ასევე, საზოგადოების განათლებას და ცნობადობის ამაღლებას. ახალი სამოქმედო გეგმის მიხედვით, ყველა სამინისტრო ვალდებულია შეიმუშავოს კონკრეტული პოლიტიკა და აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყანაში გენდერული თანასწორობის დაცვას. დაგეგმილი საქმიანობების შესრულების მიზნით, სამინისტროები იღებენ დაფინანსებას.

რატომ უნდა მონაწილეობდნენ ქალები პოლიტიკაში?

როდესაც ქალები და კაცები თანასწორად არიან წარმოდგენილი, მთავრობები უფრო წარმომადგენლობითი და მეტად პასუხიმგებლიანი არიან არა მარტო მოსახლეობის ნაწილის, არამედ მთლიანი მოსახლეობის მიმართ. შესაბამისად, ქალების არასაკმარის მონაწილეობას პოლიტიკაში ნეგატიური გავლენა აქვს სახელმწიფოს განვითარებასა და საზოგადოებაზე. ამ კუთხით საქართველო გამონაკლისი არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არჩევნებში ქალები მამაკაცების მსგავსად იღებენ მონაწილეობას, არ ვიღებთ თანასწორ პოლიტიკურ წარმომადგენლობას. კერძოდ, 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებში საკრებულოს შემადგენლობაში ქალების მხოლოდ 10% იქნა არჩეული. კერძოდ, 1 695 საკრებულოს წევრს შორის მხოლოდ 169 იყო ქალი იყო. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქალების მხოლოდ 12% იყო არჩეული. მაჩვენებელი 2008 წლის არჩევნებთან შედარებით 6.2%-ით გაუმჯობესდა, თუმცა არჩევით ხელისუფლებაში ქალთა თანასწორი წარმომადგენლობა ძალიან ნელი პროგრესით განხორციელდა. 2013 წელს 23 საპრეზიდენტო კანდიდატს შორის მხოლოდ სამი იყო ქალი. 2013 წელს საქართველოს მთავრობის 19 მინისტრიდან კი ოთხი იყო ქალი.

საქართველოში გენდერული თანასწორობის ეროვნული პოლიტიკის არსებობის მიუხედავად, არ შეინიშნება მნიშვნელოვანი ცვლილებები ქალების პარლამენტში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში ან ადგილობრივ თვითმმართველობაში წარმომადგენლობის გაზრდის მხრივ. ქალების პოლიტიკაში მონაწილეობისთვის მრავალი ბარიერი არსებობს და შესაძლოა ერთ-ერთი საარჩევნო სისტემა იყოს[9], ისევე როგორც პოლიტიკური პარტიების ქცევა და სტრუქტურა. სხვა ბარიერებია ქალის ოჯახის მიმართ პასუხისმგებლობები და მოსაზრება, რომ პოლიტიკა კაცების საქმეა.

აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა რეალური ცვლილებების განსახორციელებლად ქვეყანაში გენდერული თანასწორობის კუთხით, რაშიც მედიას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია. მედიის საშუალებით შესაძლებე-

[9] http://www.wedo.org/wp-content/uploads/electoralsystems_5050_factsh3.htm

ლია ფართო საზოგადოებაში ცოდნის ამაღლება გენდერული თანასწორობის მნიშვნელობის, ქალთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის აუცილებლობისა და მისი თანამდევი პოზიტიური შედეგების შესახებ. უფრო მეტიც, კარგად დაგეგმილ და განხორციელებულ მედია კამპანიებს შეუძლიათ შეცვალონ გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორებია გენდერული თანასწორობის მიღწევის გზაზე.

იმ დროს როდესაც სახელმწიფო პოლიტიკა და მედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისა და წარმომადგენლობისთვის, საზოგადოების ყველა წევრი, თქვენნაირი მოქალაქეები, თქვენი ოჯახის წევრები და მეგობრები პასუხისმგებლები ხართ უზრუნველყოთ ნამდვილი გენდერული თანასწორობა და გაზარდოთ ქალთა წარმომადგენლობა დემოკრატიული საქართველოს განვითარებისთვის. ■

თავი VI

ქალის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში

რა როლი უნდა ითამაშოს მედიამ დემოკრატიულ საზოგადოებაში? როგორ არის შესაძლებელი წყაროს შეფასება და რატომ არის მნიშვნელოვანი იმის განსაზღვრა, არის თუ არა ინფორმაცია სარწმუნო და ზუსტი?

რა როლი უნდა ითამაშოს მედიამ დემოკრატიულ საზოგადოებაში?

ამერიკელმა მკვლევარმა და სახელმწიფო მოღვაწემ თომას ჯეფერსონმა ერთხელ თქვა, „დემოკრატია შეუძლებელია იყოს ერთდროულად უცოდინარიც და თავისუფალიც"[10]. თომას ჯეფერსონმა და მისმა თანამედროვეებმა გააცნობიერეს, რომ იმისთვის, რომ მოქალაქეებს დემოკრატიულ საზოგადოებაში შეენარჩუნებინათ თავისუფლება და დაეცვათ თავიანთი უფლებები, ისინი ინფორმირებულები უნდა ყოფილიყვნენ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების, პოლიტიკოსების შეხედულებებისა და მთავრობის საქმიანობის შესახებ. ამერიკის „ადამიანის უფლებათა ბილის" I მუხლში წარმოდგენილია რამდენიმე დებულება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ის მოსაზრება, რომ მედიას შეუძლია იმოქმედოს მთავრობისგან დამოუკიდებლად და რომ ადამიანები თავისუფალი არიან გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები. ეს დებულებები ხელს უწყობენ აზრთა გაცვლას, რაც აუცილებელია ჯანსაღი დემოკრატიის არსებობისთვის, ისინი აძლევენ მედიის წარმომადგენლებს საშუალებას იმოქმედონ, თვალყური ადევნონ მთავრობას და გააშუქონ კორუფციისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევები.

მოქალაქეების ინფორმირებულობისთვის აუცილებელია თავისუფალი და დამოუკიდებელი პრესის შენარჩუნება. თუმცა, ეს მოქალაქეების მხრიდან ასევე დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება თუ ვის დაუჭირონ მხარი არჩევნებში, როგორ მიიღონ მონაწილეობა რეფერენდუმებში, რა საკითხებს გაუწიონ ადვოკატირება და რა მიზნებისა და სურვილების შესახებ დაუკავშირდნენ თავიანთ წარმომადგენლებს ადგილობრივ და ცენტრალურ მთავრობაში. ამ ყველაფრის ეფექტიანად განხორციელებისთვის აუცილებელია, პიროვნებები იყვნენ ინფორმირებულები. საუკეთესო გზა ამ მიზნის მისაღწევად

[10] Illinois Press Association Guide to First Amendment & Access Laws (1995) at http://www.illinoisfirstamendmentcenter.com/history.php

არის, ყოველთვის ფლობდე ზუსტ ინფორმაციას მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ამისათვის კი საუკეთესოა ზუსტი და მიმდინარე ინფორმაციის ფლობა.

ისტორიაში არასოდეს ყოფილა ასე ადვილად და სწრაფად ასეთი დიდი რაოდენობის ინფორმაცია ხელმისაწვდომი, როგორც ეს დღეს არის შესაძლებელი საინფორმაციო ტექნოლოგიებითა და მედიით. ამასთან, ინფორმაციის სიუხვე ზრდის მოქალაქეების პასუხისმგებლობას კრიტიკულად შეაფასონ წყაროები. მედია განსწავლულობა აუცილებელი მოქალაქეობრივი უნარ-ჩვევაა 21-ე საუკუნეში. ამერიკული ორგანიზაციის „მედია განსწავლულობის ეროვნული ასოციაციის“ მიხედვით, „მედია ეპოქაში განათლებულ პიროვნებას სჭირდება კრიტიკული აზროვნების უნარები, რაც მისცემს მას შესაძლებლობას მიიღოს გადაწყვეტილებები“[11].

მედიის კრიტიკულად შეფასება ნიშნავს, გააანალიზო და შეაფასო წყარო და პირდაპირ სარწმუნოდ არ მიიღო ის ინფორმაცია, რასაც კითხულობ, ხედავ ან გესმის. დღევანდელი კონკურენტული მედიაბაზრის პირველადი ამოცანაა მიიზიდოს და გაართოს აუდიტორია, რაც დიდ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ უნდა დაიწეროს ახალი ამბავი და წარედგინოს მიზნობრივ აუდიტორიას. მედიას შეუძლია სხვადასხვა გზით წარადგინოს ფაქტები ამა თუ იმ საკითხის შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ ის საკითხის შესახებ ზუსტ და სრულ ინფორმაციას არ წარმოადგენს.

როგორ არის შესაძლებელი წყაროს შეფასება და რატომ არის მნიშვნელოვანი იმის განსაზღვრა, არის თუ არა ინფორმაცია სარწმუნო და ზუსტი?

ბევრი განსხვავებული მიზეზი არსებობს იმისთვის, თუ რატომ იყენებენ პიროვნებები და ორგანიზაციები მედიას საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის. ამა თუ იმ პირისა და ორგანიზაციის მიზანი არის მთავარი ფაქტორი იმის გადასაწყვეტად, თუ რა და როგორი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს საზოგადოებას. მედიის ოთხი მთავარი მიზანია: გამოხატოს შეხედულებები, გაანათლოს, დაარწმუნოს და გაართოს ადამიანები. როდესაც მედიის მიზანი არის შეხედულებების გამოხატვა, ინფორმაციაში წარმოდგენილია პიროვნებებისა და ორგანიზაციების შეხედულებები ან ფასეულობები. როდესაც ამოცანა განათლებაა, ინფორმაცია შედარებით მეტად არის ორიენტირებული ფაქტებზე. მედიის მიერ გაჟღერებული მესიჯები ყოველთვის ცდილობენ დაარწმუნონ ადამიანები, გაიზიარონ რაიმე საკითხი და იმოქმედონ შესაბამისად. მაგალითად, მხარი დაუჭირონ საჯარო სამსახურის კანდიდატს, გაიღონ თანხა ქველმოქმედებისთვის ან იყიდონ გარკვეული პროდუქტი. საბოლოო მიზანი – გართობა, ფართოდ არის გამოყენებული მედიაში. საინფორმაციო ორგანიზაციებიც კი, რომლებსაც უფრო დიდი აუდიტორიის ყურადღების მიპყრობა სურთ, ხშირად იყენებენ ისეთ ელემენტებს, რომლებიც გაართობს საზოგადოებას. ამდენად ძალზე მნიშვნელოვანია მედიის წყაროს მიზნების გაგება იმისთვის, რომ შეაფასო წყარო და შესაბამისად განსაზღვრო თუ რამდენად სარწმუნო და ზუსტია მოწოდებული ინფორმაცია.

[11] National Association for Media Literacy, 2013 at http://namle.net/publications/media-literacy-definitions/

პირველი ნაბიჯი იმის განსაზღვრისთვის, არის თუ არა ინფორმაცია ზუსტი და სანდო, იმის გადამოწმებაა, თუ რამდენად **სანდოა** მოცემული ინფორმაციის წყარო. წყაროს სანდოობის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია პასუხი გასცეთ რამდენიმე კითხვას:

- ვინ დაბეჭდა ან ვინ არის ინფორმაციის ავტორი?
- რა არის ცნობილი პუბლიკაციის ან ავტორის შესახებ?
- ცნობილია თუ არა გამომცემლის/ავტორის მიზანი ან ამოცანა?
- გამომცემლობა ან ავტორი იღებენ თუ არა რაიმე პირად სარგებელს აღნიშნულ საკითხ(ებ)ის აქცენტირებით?
- როგორ იქნა ინფორმაცია მოპოვებული? თვითმხილველების, ექსპერტების, ცნობილი თუ უცნობი წყაროდან?
- დასტურდება თუ არა წარმოდგენილი ინფორმაცია სხვა წყაროს მიერაც?
- ვინ აფინანსებს წყაროს?

ზოგადად, როდესაც ამა თუ იმ ავტორის/გამომცემლის შესახებ ძალიან მცირე ინფორმაციაა ხელმისაწვდომი, ჩნდება საფუძველი ვიფიქროთ, რომ ავტორსა და გამომცემელს შესაძლოა ჰქონდეთ ინტერესი ინფორმაციის ამა თუ იმ კუთხით გაშუქებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ასეთ დროს ინფორმაციის სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ასევე, თუ ავტორი ან გამომცემელი ცნობილია საკითხების მიმართ გამოხატული პოზიციისა და შეხედულებისადმი თავისი თანაგრძნობით, ან თუ ინფორმაციის მოპოვების გზები გამჭვირვალე არ არის, მაგალითად, ინფორმაცია ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით არის მოწოდებული, რომელიც არ არის გამყარებული ფაქტებით, ამ შემთხვევებშიც სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დადგეს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში, წყარო შესაძლოა იყოს მიკერძოებული. ინფორმაციის დასადასტურებლად დამატებითი წყაროების მოძიება ინფორმაციის შეფასების თანმდევი პროცესი უნდა იყოს ვიდრე მივიღებდეთ წყაროს როგორც ზუსტსა და სანდოს. მარტივად რომ ვთქვათ, მიკერძოებულობა ნიშნავს რაღაცისთვის სხვისგან განსხვავებით უპირატესობის მინიჭებას. ასეთმა მიკერძოებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს იმ გზებზე, თუ როგორ არის ინფორმაცია წარმოდგენილი მედია საშუალებებში, ეს კი საბოლოოდ **მედიას მიკერძოებულს** ხდის.

მედიის მიკერძოებულობის შედეგად ინფორმაციის დამახინჯებით წარმოდგენის რამდენიმე გზა არსებობს. ამ ტაქტიკების ამოცნობა გამოგადგებათ წყაროს ანალიზისთვის. ეს ტაქტიკები მოიცავენ სიტყვების შერჩევას, ინფორმაციის გამოტოვებას, დებატების შეზღუდვას, წყაროების შერჩევასა და გამოყენებას, ინფორმაციულ ჩარჩოს.

ამა თუ იმ მოვლენის აღსაწერად გამოყენებულმა სიტყვებმა შესაძლოა ზოგჯერ საფუძვლიანად, ზოგჯერ კი უმნიშვნელოდ შეცვალონ მოვლენის მნიშვნელობა. შთამბეჭდავი სიტყვებისა და კონკრეტული ზედსართავების გამოყენებით შესაძ-

ლოა ზეგავლენა მოახდინო საზოგადოების ფიქრებსა და გრძნობებზე კონკრეტული საკითხების მიმართ. მაგალითად მოყვანილია თუ როგორ წარმოადგინეს ორმა ამერიკულმა ახალი ამბების სააგენტომ სათაურები ერთსა და იმავე მოვლენის შესახებ. მაგალითი ნათლად წარმოადგენს, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს მნიშვნელობა **სიტყვების შერჩევით**.

„ერაყის შეიარაღებული ძალები აშშ-ის სადაზვერვო ფრენებს აჩერებენ“, The New York Times, 3/11/2003
„გაეროს U-2 ტიპის თვითმფრინავები გაჰყავს“, USA Today, 3/11/2003

„New York Times“-ის სათაურში ერაყი წარმოდგენილია როგორც უპირატესი ძალის მქონე მხარე, რომელმაც აშშ-ის შეტევები „საკუთარი ძალებით შეაჩერა“. თუმცა მეორე „USA Today“-ის სათაური ჟღერს ასე: „გაეროომ მიიღო გადაწყვეტილება, შეეჩერებინა თვითმფრინავები” და შესაბამისად იგულისხმება, რომ ამ შემთხვევაში სიტუაციას გაერო აკონტროლებს.

პიროვნებები, რომლებიც ამ ორი სათაურიდან ერთ-ერთს წაიკითხავენ, განსხვავებული წარმოდგენა ჩამოუყალიბდებათ მოვლენის მიმართ. თუმცა, ორივე სათაური აშშ-ის მთავარ გაზეთებში დაიბეჭდა იმავე დღეს, ზუსტად ერთსა და იმავე მოვლენაზე. ცოდნა იმისა, თუ როგორ შეიძლება სიტყვებმა შეცვალონ მნიშვნელობა და მოახდინონ აუდიტორიის გრძნობებისა და რეაქციების მანიპულირება, არის მნიშვნელოვანი ნაწილი მედიის კომპედენტური შეფასების უნარის განვითარებისთვის.

ინფორმაციის შერჩევითობა არის ერთ-ერთი საშუალება იმისთვის, რომ ინფორმაცია შენთვის სასურველი კონკრეტული კუთხით წარმოადგინო. გარკვეული ინფორმაციის **გამოტოვებით** საზოგადოებას ერთმევა იმის შანსი, რომ საკითხი სიღრმისეულად გაიაზროს და სხვადასხვა პერსპექტივიდან შეაფასოს. მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვების შედეგად ადამიანები ვერ ახერხებენ ინფორმირებული და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთებას. ანალოგიურად, კონკრეტულ თემასთან მიმართებით დებატების, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრების დაფიქსირების შეზღუდვაც ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე, წარმოადგენს რა მიკერძოებულ, ცალმხრივ მოსაზრებას. ორივე ტაქტიკის გამოყენების შედეგი შესაძლოა იყოს ინფორმაციის დამახინჯება და დეზინფორმაციაც კი.

წყარო გადამწყვეტია მნიშვნელოვანი და ზოგჯერ სენსიტიური ინფორმაციის მიღების პროცესში. ჟურნალისტები ვერ შეძლებენ საკუთარი საქმიანობის განხორციელებას იმ ადამიანებთან თანამშრომლობის გარეშე, რომლებიც მათ ინფორმაციას უზიარებენ. იმის შესაფასებლად მიკერძოებულია თუ არა ინფორმაცია, აუცილებელია კრიტიკულად ვიმსჯელოთ ინფორმციის წყაროებზე. **წყაროების შერჩევისა** და **გამოყენებისას** მნიშვნელოვანია უპასუხოთ შემდეგ კითხვებს:

- არის თუ არა ინფორმაციის წყარო ექსპერტი ან ისეთი პირი, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით?
- რა კავშირშია ინფორმაციის წყარო მოცემულ საკითხთან?
- აქვს თუ არა ინფორმაციის მომწოდებელს რაიმე პირადი ინტერესი მოცემული საკითხის მიმართ?
- რამდენ წყაროსთან მოხდა კონსულტაციის გავლა?
- იყო თუ არა წარმოდგენილი განსხვავებული მოსაზრებები?

ინფორმაციის გაზიარებისას წყაროს შესაძლოა თავისი მიზნები ჰქონდეს, შესაბამისად, წყაროს შესახებ მეტი ინფორმაციის მოპოვება იძლევა იმის საშუალებას, რომ განვსაზღვროთ მიკერძოებულია თუ არა ინფორმაცია. ამასთან, ინფორმაციის მომწოდებლის ცოდნა ამა თუ იმ საკითხის მიმართ შესაძლოა იყოს შეზღუდული და შესაბამისად არ იყოს მთლად ზუსტი. ზემოთ მოცემული კითხვების გათვალისწინება აუცილებელია იმის შესაფასებლად თუ რამდენად სანდოა ესა თუ ინფორმაცია.

ინფორმაციული ჩარჩოს ფორმირებისას გადაწყვეტილება მიიღება იმის შესახებ, თუ როგორ წარდგეს ინფორმაცია ისე, რომ მან მოხიბლოს კონკრეტული აუდიტორია, მოახდინოს გავლენა და სხვადასხვა ქმედების პროვოცირება. ამ შემთხვევაში გამოყენებული ერთ-ერთი ტექნიკაა ტონი, რომლითაც ინფორმაციაა გადმოცემული. მაგალითად, ინფორმაცია წარმოდგენილია უბრალო, ჩვეულებრივი მანერით, რომელიც ქმნის სერიოზულობის განცდას, თუ ის წარმოდგენილია, როგორც საინტერესო კომენტარი ადამიანის ქცევაზე?

საზოგადოებაზე გავლენის მოსახდენად ინფორმაციის გადმოცემის სხვადასხვა ხერხი არსებობს. მაგალითად, გაზეთის პირველ გვერდებზე დაბეჭდილი ამბები როგორც წესი უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევა, ვიდრე ის ამბები, რომლებიც შედარებით უკანა გვერდებზე არიან წარმოდგენილი. ანალოგიურად დრო, რომელსაც მედია ამა თუ იმ საკითხის გაშუქებას უთმობს, ასევე ახდენს მნიშვნელოვან გავლენას საზოგადოების დამოკიდებულებაზე და ხაზს უსვამს თემის მნიშვნელობას. ინფორმაციის ფორმირება შესაძლოა მოხდეს სხვადასხვა პერსპექტივიდანაც. მაგალითად, ინფორმაცია საერთაშორისო კოსმოსური სადგურის შესახებ შესაძლოა სრულიად განსხვავებული კუთხით იქნას გაშუქებული, როგორც მაგალითად, ერებს შორის თანამშრომლობის მტკიცებულება, ან ხაზი გაესვას იმ ხარვეზს, რომელიც მეცნიერებაში გენდერული მიმართულებით არსებობს, ან საერთოდ წინ წამოიწიოს ისეთმა თემამ, როგორიცაა ძალთა დისბალანსი მსოფლიოში. თითოეული ამ ინფორმაციის ფორმირების ნიმუში უბიძგებს ავტორს გამოტოვოს ან პირიქით მოიძიოს სრულიად განსხვავებული ტიპის ინფორმაცია და საზოგადოებას კონკრეტული საკითხის სრულიად სხვა ასპექტზე გაუმახვილოს ყურადღება.

ის თუ რა კუთხით არის წარმოდგენილი საკითხი გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ იღებს აუდიტორია ინფორმაციას. თუ კონკრეტული მსმენელი ინფორ-

მაციაში მისთვის საინტერესო მომენტებს დაინახავს, ის სათანადო ინფორმაციასაც მიიღებს, მაგრამ ხშირად ხდება საპირისპიროც, როდესაც ადამიანმა დაინახა, რომ შემოთავაზებული კუთხით ეს ინფორმაცია მისთვის საინტერესო არ არის, შესაძლოა მას საერთოდ იგნორირება გაუკეთოს. იმის გააზრება, რომ ინფორმაცია გარკვეულ ჩარჩოშია მოქცეული, იქნება ეს ავტორის, რედაქტორის, გამომცემლის, ბლოგერის, ვებგვერდის ადმინისტრატორის, თუ სხვა ინფორმაციის მომზადებაში ჩართული პირის, ძალიან მნიშვნელოვანია მედიის ცოდნისა და შეფასებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებისთვის. ინფორმაციული ჩარჩოს გააზრებით, ადამიანი აცნობიერებს იმას, თუ რამდენად მიკერძოებული ან თუნდაც დამახინჯებული შეიძლება იყოს ესა თუ ის ინფორმაცია. სწორედ ამ ჩარჩოების მიღმა გახედვა და საჭიროების შემთხვევაში მეტი ინფორმაციის მოძიება ხდის შესაძლებელს, რომ ადამიანი იყოს მეტად ინფორმირებული გარკვეულ თემასთან დაკავშირებით.

დარწმუნება & პროპაგანდა – როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგჯერ მედიის მიერ გამოყენებული წყაროს მიზანია დაარწმუნოს საზოგადოება ამა თუ იმ საკითხში და რაიმე ქმედებისკენ მოუწოდოს. ხშირად ასეთ შემთხვევებში გამოიყენება პროპაგანდაც, რომელიც როგორც აღმოჩნდა საზოგადოების ქცევასა და აზროვნებაზე გავლენის მოსახდენად საკმაოდ ეფექტიანი საშუალებაა. ამ მიზნის მისაღწევად რამდენიმე გზა არსებობს. უფრო ხშირად კი რამდენიმე მეთოდს მიმართავენ, ესენია[12]:

მტკიცება – ძლიერი განცხადება წარმოდგენილი როგორც ფაქტი, (რომელიც შესაძლებელია აუცილებლად არ შეესაბამებოდეს სიმართლეს), რომელიც აღწერს რაღაცას, როგორც განსაკუთრებულს, საუკეთესოს და ა.შ. მიუხედავად იმისა, არის თუ არა ამ ფაქტის დამადასტურებელი მყარი არგუმენტი. მაგალითად, საწმენდი საშუალებების რეკლამა, რომელიც ამტკიცებს, რომ „უკეთ არც ერთი საშუალება არ ასუფთავებს!“

უმრავლესობის აზრი – წარმოდგენილი ინფორმაცია მსმენელს არწმუნებს, რომ ერთი მხარე, კონკრეტული პირი ან ესა თუ ის პროდუქტი სწორი არჩევანია, რადგან მას მხარს უჭერს ადამიანთა დიდი რაოდენობა. მაგალითად, განცხადება, რომ „მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს ამ მოსაზრებას“. ასეთი ტიპის განცხადებასთან დაკავშირებული პრობლემა არის ის, რომ არავინ განმარტავს რამდენ ადამიანს ჰკითხეს აზრი, ვინ იყვნენ ეს ადამიანები, ხომ არ დაარწმუნა ვინმემ გამოკითხული ადამიანები, რომ მსგავსი პასუხები გაეცათ და საერთოდ რა არის „უმრავლესობა”?

თვალისმომჭრელი ასოცირებები – შემთხვევა, როდესაც მაღალ იდეალებთან დაკავშირებულ სიტყვებს და კონცეფციას მოცემულ საკითხთან, კონკრეტულ პირთან ან პროდუქტთან აკავშირებენ. მაგალითად, პოლიტიკურ კანდიდატზე შესაძლოა დაწერონ, რომ ის „სამართლიანობის მხარეს არის”. მართალია ამ შემთხვევაში ახსნილი არ არის, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება კანდიდატის მიერ სამართლიანობის მხარდაჭერა, თუმცა თვითონ სამართლიანობის ცნება ძალიან

[12] Oracle ThinkQuest, Education foundation, 2001. Propaganda Techniques, at http://library.thinkquest.org/C0111500/proptech.htm

ფასეულია და ადვილია, რომ მისი მეშვეობით მხარდაჭერა ამ ცნებასთან ასოცირებულმა კანდიდატმაც მოიპოვოს.

სახელის დარქმევა – შემთხვევა, როდესაც შეურაცხმყოფელი ენა ან ნეგატიური მნიშვნელობის მქონე სიტყვები გამოიყენება კონკრეტული ადამიანის, პროდუქტის ან მოვლენის მიმართ, იმისთვის რომ საზოგადოებაში ნეგატიური ემოციების გაჩენას შეწყოს ხელი. მაგალითად, ორგანიზაციის ან ინდივიდის მიმართ ისეთი ეპითეტის გამოყენება, როგორიცაა: „ძალაუფლებას მოწყურებული" ადამიანებში ნეგატიურ ასოციაციებს აჩენს.

საზოგადოებასთან მსგავსება – სიტყვები და ქმედებები გამოიყენება საზოგადოების წევრების დასარწმუნებლად იმაში, რომ ეს ადამიანი, ორგანიზაცია ან პროდუქტი, სწორედ მათ საჭიროებებსა და ინტერესებს ემსახურება. რიგით მოქალაქეებს არწმუნებენ, რომ მათი მოსაზრებები და საჭიროებები გაგებული და გათვალისწინებული იქნება. ასეთი რამ შესაძლოა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე მაღალჩინოსანი ცდილობს დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ის ჩვეულებრივი ადამიანია, მიუხედავად იმისა, რომ არის ძალიან მდიდარი და შესაბამისად თავისუფალია ისეთი ყოველდღიური საზრუნავებისგან, როგორიცაა მაღაზიაში პროდუქტებზე წასვლა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა და ა.შ.

სტერეოტიპების გამოყენება – ეს ის შემთხვევაა, როდესაც ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ ადამიანებზე, წარმოაჩენენ რა კონკრეტულ ადამიანს ან პროდუქტს ნეგატიურად რიგი გარე დახასიათებებისა თუ გარკვეული ჯგუფის ასოციაციების გამო. ნეგატიური აღქმა ძირითადად ემყარება განზოგადებას, რომელიც ხშირ შემთხვევაში შესაძლოა იყოს გაზვიადებული ან არასწორი. ასეთი ტაქტიკის მიზანი მნიშვნელოვანი საკითხიდან საზოგადოების ყურადღების გადატანას ემსახურება, აჩენს რა ეჭვსა და შიშს ამა თუ იმ საკითხის მიმართ გარკვეული სტერეოტიპების საშუალებით. მაგალითად, როდესაც პიროვნება კონკრეტულ სამუშაოზე არ აჰყავთ, რადგან ეს ადამიანი მიეკუთვნება ისეთ ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც ცნობილია ნაკლები პატიოსნებითა და ზარმაცი ხასიათით.

სარეკომენდაციო – როდესაც ცნობილი ადამიანი ღიად აფიქსირებს თავის მხარდაჭერას ამა თუ იმ ორგანიზაციის, პროდუქტის, ან კონკრეტული ადამიანის მიმართ და მის მიმართ (ცნობილი ადამიანისადმი) საზოგადოებაში არსებულ პატივისცემასა და პოზიტიურ განწყობას იყენებენ ადამიანთა აზრზე ზეგავლენის მოსახდენად. ამის კარგი მაგალითია, როდესაც ცნობილი ადამიანი რაიმე პროდუქტის რეკლამაში მონაწილეობს.

იმის მიუხედავად, თუ პროპაგანდის რომელი მეთოდი იქნება გამოყენებული, მიზანი ძირითადად ერთია, ეს არის ზეგავლენის მოხდენა ადამიანების მოსაზრებებსა და ქმედებებზე იმ ინფორმაციის გამოყენებით, რომლებიც შესაძლოა ხშირად არ იყოს მნიშვნელოვანი და შესაბამისი მოცემულ საკითხთან მიმართებაში.

ამ მეთოდების გაგება და ცოდნა მნიშვნელოვანია, რათა ინფორმაციის მიღებისას მოვახდინოთ მათი იდენტიფიცირება და ადვილად არ მოვექცეთ მისი გავლენის ქვეშ. პროპაგანდის ზეგავლენისგან თავის დაცვის ყველაზე კარგი საშუალებაა პირველი, რომ გავაანალიზოთ გამოყენებული მეთოდი, ხოლო შემდეგ გავიაროთ შემდეგი ეტაპები:

1) შეეცადეთ განაცალკევოთ ერთმანეთისგან ემოციები და შთამბეჭდავი სიტყვები რეალური ფაქტებისგან;
2) იმსჯელეთ წარმოდგენილი არგუმენტებითა და ინფორმაციის ხარისხით და არა გამოყენებული ენით, ვიზუალური მასალითა და იმ პირებით, რომლებიც წარმოადგენენ ინფორმაციას;
3) იყავით მოტივირებული, რომ დასკვნების გაკეთებამდე მოიძიოთ მეტი ინფორმაცია კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

დემოკრატიის პრინციპები



მოქალაქეთა მონაწილეობა – მართალია არჩევნებში მონაწილეობა მოქალაქის ერთ-ერთ მთავარ პასუხისმგებლობად არის მიჩნეული, თუმცა რეალურად, ის მხოლოდ ერთ-ერთი გზაა, რომლითაც მოქალაქეს დემოკრატიულ საზოგადოებაში შეუძლია მიმდინარე პროცესებზე გავლენის მოხდენა. იყო ინფორმირებული და გქონდეს შენი პოზიცია რიგი საკითხების მიმართ, გამოხატო მხარდაჭერა ამა თუ იმ საკითხის მიმართ სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფსა თუ ასოციაციაში გაწევრიანებით, პეტიციაზე ხელმოწერით, პოლიტიკოსებისთვის წერილის მიწერით, ასევე სხვადასხვა საზოგადოებრივ შეკრებებსა თუ მშვიდობიან და საპროტესტო აქციებზე დასწრებით, ეს მნიშვნელოვანი მექანიზმებია დემოკრატიულ საზოგადოებაში საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად. ისეთ შემთხვევებში, როდესაც საზოგადოება მიმდინარე პროცესებისგან იზოლირებულია, „შემოწმებისა და დაბალანსების" სისტემის ძირითადი ელემენტები იკარგება და საჯარო მოხელეებმა შესაძლოა იგრძნონ სრული თავისუფლება და იმოქმედონ შეზღუდვების გარეშე. ამან კი შესაძლოა საჯარო მოხელეებსა და მთავრობის წარმომადგენლებს საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებისკენ უბიძგოს, რაც თავის მხრივ საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფისკენ არ იქნება მიმართული და შესაძლოა ადამიანთა უფლებების დარღვევის მიზეზიც კი გახდეს.

ანგარიშვალდებულება – პასუხისმგებლობა და უკუკავშირი მიღებულ გადაწყვეტილებებსა და გადადგმულ ნაბიჯებთან დაკავშირებით. ლიდერები ანგარიშვალდებული არიან მოქალაქეების წინაშე, ასევე მთავრობის სხვა შტოების მიმართ პარლამენტისა და სასამართლოს ჩათვლით. ანგარიშვალდებულება უბიძგებს მთავრობას მიიღოს გადაწყვეტილებები და იმოქმედოს ხალხის ნების მიხედვით.

კანონის უზენაესობა – არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი დემოკრატიულ საზოგადოებაში, რადგან ამ პრინციპის თანახმად, არავინ დგას კანონზე მაღლა, ყველა ვალდებულია დაიცვას კანონი და თანაბრად აგოს პასუხი კანონის დარღვევის შემთხვევაში.

ძალის ბოროტად გამოყენების კონტროლი – ხელისუფლების წარმომადგენლები შეზღუდულები არიან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების კუთხით და ამ მიმართულებით მას მოქალაქეები, კანონმდებლობა და სხვადასხვა ინსტიტუციები აკონტროლებენ. ამ პრინციპის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს „შემოწმებისა დაბალანსების“ ძლიერი სისტემა წარმოადგენს, რაც გულისხმობს ძალაუფლების კონსტიტუციურ გადანაწილებას, სახელმწიფო შტოებს შორის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილებას, (აღმასრულებელი ხელისუფლება – პრეზიდენტი, სასამართლო ხელისუფლება – სასამართლოები და საკანონმდებლო ხელისუფლება – პარლამენტი).

ადამიანის უფლებები – ადამიანის სიცოცხლისა და ადამიანური ღირსების პატივისცემა. როდესაც ადამიანთა უფლებები ირღვევა, ადამიანებს არ აქვთ ლოიალურობის განცდა მთავრობის მიმართ. მართალია მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეებმა დათმონ ძალაუფლების ნაწილი დემოკრატიულად არჩეული მთავრობის სასარგებლოდ, თუმცა მთავრობა არსებობს იმისთვის, რომ უზრუნველყოს მოქალაქეთა უფლებების დაცვა.

თანასწორობა – ყველა პიროვნება, როგორც საზოგადოების წევრი, ღირებულია თანაბრად. ყველას უნდა ჰქონდეს თანასწორი შესაძლებლობები და მართლმსაჯულების უფლებები. არავინ არ უნდა იყოს დისკრიმინირებული რასის, რელიგიის, ეთნიკური ჯგუფის კუთვნილების, გენდერის ან სექსუალური ორიენტაციის გამო.

უფლებათა ბილი – ყველა პიროვნების უფლებები და თავისუფლებები დაცულია ქვეყანაში. ბევრი დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუცია მოიცავს უფლებათა ბილს და უზრუნველყოფს ამ უფლებათა დაცვას.

რეგულარული, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები – რეგულარული არჩევნები მნიშვნელოვანია რათა პოლიტიკური ლიდერები იყვნენ ანგარიშვალდებულები იმ ხალხის წინაშე, ვისაც ემსახურებიან. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების შემადგენელი კომპონენტი ასევე არის ის, რომ საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ საჯარო სამსახურში არჩევის საშუალება, რაც ამცირებს მდიდარი ან მმართველი კლასის ძალაუფლებას. ეს არის დემოკრატიულ საზოგადოებაში ხალხის და პოლიტიკოსების საჭიროება მშვიდობიანად მიიღონ დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნების შედეგი.

მრავალპარტიული სისტემები – იმისათვის, რომ არჩევნებმა ასახოს დემოკრატიული იდეალები და ოპოზიციური შეხედულებები, უნდა არსებობდეს მრავალ-

პარტიული სისტემა, რადგან მხოლოდ მრავალპარტიული სისტემის არსებობის შემთხვევაში გაიგებს ხალხი ოპოზიციურ შეხედულებებს და მიეცემა კანდიდატ(ებ)ის არჩევანის საშუალება.

ეკონომიკური თავისუფლება – დემოკრატიულ სისტემაში ზოგადად მიღებულია, რომ მთავრობამ უნდა დაუშვას კერძო მესაკუთრეობის, ბიზნესისა და სამუშაოს თავისუფლად არჩევის უფლება. მიუხედავად ამისა, ხარისხი, თუ რამდენად რეგულირდება ეკონომიკა მთავრობების მიერ განსხვავდება ქვეყნების მიხედვით.

პოლიტიკური ტოლერანტობა – ყველა ინდივიდს, მაშინაც კი თუ ის წარმოადგენს უმცირესობის მოსაზრებას, უნდა ჰქონდეს აზრის დაფიქსირებისა და მოქმედების თავისუფლება. ამასთან, ეს არ უნდა მოხდეს უმცირესობების ჯგუფების შევიწროვებით და მათი მოსაზრებები დაცული უნდა იყოს კანონის მიერ მაშინაც კი, თუ ის საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელია. აუცილებელია, რომ უმცირესობათა ჯგუფების მოსაზრებების გათვალისწინებით თავიდან იქნას აცილებული „უმრავლესობის ტირანია“, ანუ ისეთი საზოგადოება, სადაც მხოლოდ უმრავლესობის მოსაზრებები და ინტერესებია წარმოდგენილი.

გამჭვირვალობა – ცნება გულისხმობს, რომ მოქალაქეებს საშუალება ჰქონდეთ მიიღონ ინფორმაცია იმაზე, თუ რა გადაწყვეტილების მიღება ხდება, ვინ იღებს მას და რატომ. ბევრ დემოკრატიულ სახელმწიფოში, რიგი გადაწყვეტილებების მიღება ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც საზოგადოებას მიეცემა საშუალება გამოთქვას საკუთარი მოსაზრება ინიცირებული კანონის შესახებ. ამის გაკეთება შესაძლებელია საჯარო შეხვედრებისა და მთავრობის წარმომადგენლებთან ურთიერთობის გზით. ■

საჭირო რესურსები და ბმულები

საჯარო დაწესებულებები:

www.president.gov.ge – საქართველოს პრეზიდენტი
www.parliament.ge – საქართველოს პარლამენტი
www.government.gov.ge – საქართველოს მთავრობა
www.abkhazia.gov.ge – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
www.ajara.gov.ge – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა
www.mfa.gov.ge – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
www.mrdi.gov.ge – რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
www.eu-nato.gov.ge – სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში
www.mod.gov.ge – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
www.moh.gov.ge – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
www.rs.ge – შემოსავლების სამსახური
www.minenergy.gov.ge – საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
www.police.ge - შინაგან საქმეთა სამინისტრო
www.saagento.security.gov.ge – შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო
www.mof.ge – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
www.is.ge – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური
www.economy.ge - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
www.privatization.ge – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
www.msy.gov.ge – საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
www.mcs.gov.ge – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
www.mcla.gov.ge – საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
www.mra.gov.ge – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
www.constcourt.ge – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
www.cra.gov.ge – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
www.napr.gov.ge – საჯარო რეესტრი
www.cec.gov.ge – ცენტრალური საარჩევნო კომისია
www.procurement.gov.ge – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
www.justice.gov.ge – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
www.psh.gov.ge – იუსტიციის სახლი
www.hcoj.gov.ge – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
www.nbe.gov.ge – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიურო

www.moa.gov.ge – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
www.csb.gov.ge – საჯარო სამსახურის ბიურო
www.notary.ge – საქართველოს ნოტარიუსთა პალატა
www.geostat.ge – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
www.apa.gov.ge – დაცული ტერიტორიების სააგენტო
www.nala.ge/munic – საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის საიტზე განთავსებულია საქართველოს თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ვებგვერდების ბმულები

საინფორმაციო ბმულები და არასამთავრობო ორგანიზაციები:

www.matsne.gov.ge – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
www.e-government.ge – ელექტრონული სამთავრობო რესურსები
www.library.court.ge – სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა
www.nplg.gov.ge – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
www.my.gov.ge - სახელმწიფო სერვისების ელექტრონული პორტალი
www.partiebi.ge - ამომრჩეველთა საინფორმაციო ვებგვერდი
www.electionsportal.ge – საქართველოს არჩევნების პორტალი
www.ivote.ge – ყველაფერი არჩევნების შესახებ
www.transparency.ge – საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
www.isfed.ge – სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
www.gyla.ge – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
www.econpolicyfact.ge – პოლიტიკური პარტიების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები
www.humanrights.ge - პორტალი ადამიანის უფლებების შესახებ
www.cems.ge – სამოქალაქო მონიტორინგის ელექტრონული სისტემა
www.tolerantoba.ge – სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი
www.ewmi-gpac.org – აღმოსავლეთ-დასავლეთის მენეჯმენტის ინსტიტუტი
www.civitas.ge – კივიტას გეორგიკა
www.media.ge – ინტერნიუსი
www.civil.ge – ახალი ამბები საქართველოდან
www.ginsc.net – გენდერის საინფორმაციო ქსელი სამხრეთ კავკასიაში
www.facebook.com/GenderEqualityNetwork – გენდერული თანასწორობის ქსელი
www.facebook.com/JNGEGeorgia – ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის
www.greenadvocacy.net – საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქსელი გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისათვის
www.helpinghand.ge – მოხალისეობისთვის რეგისტრაცია
www.volunteering.ge – მოხალისეთა საინფორმაციო ცენტრი



This civics guide is made possible by the support of the American people through the United States Agency for International Development's (USAID's) Increased Trust in the Electoral Process (ITEP) project, implemented by the International Foundation for Electoral Systems (IFES). The contents do not necessarily reflect the views of IFES, USAID or the United States Government.

ამ სამოქალაქო განათლების გზამკვლევის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID-ის) მეშვეობით. მასალის შინაარსი შესაძლოა, არ გამოხატავდეს IFES-ის, USAID-ისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

დიზაინი: მანანა არაბული / zangodesign; ილუსტრაცია: მაია აბაშიძე

დაიბეჭდა გამომცემლობა CEZANNE, თბილისი 2014

© 2014 International Foundation for Electoral Systems (IFES). All rights reserved.
© 2014 IFES. ყველა უფლება დაცულია.

ISBN